# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 9 ნოემბერი, 2013 წელი.

№216 (7344)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## პეტრე მამრაძე: თუკი პრემიერი ქვანია ვინმეს შეგნებულად მოკლა, ამას ვერ იზამდა დაცვის თანამონაწილეობის გარეშე

4

მათ იციან ყველაფერი და შეუძლიათ ნათელი მოჰფინონ ამ საქმეს

## საკაშვილი საქართველოს პასპორტებს გასცემს

8

## საით მივყავართ „ქართულ ოცნებას“?

## ლუსტრაცია – უკან მიდევნებული ლამპარი

3

ქართულ პოლიტიკურ სპექტრსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში მყოფი ჩეკისტების წარსული და... მომავალი

## რამდენი დაუჯდა ბიუჯეტს მაღალჩინოსნების შენახვა?

2

## გამკაცრდეს საპიზო და საიმიგრაციო რეჟიმი!

5

## სამუზეუმო ექსპონატების ნაწილი გამქრალია

6

## რით შეიცვლება თბილისის „ყვითელა“ ავტობუსები?

11

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

# პატრიარქმა წმინდა ილია მართლის საფლავზე პარაკლისი გადაიხადა

**მთაწმინდაზე, წმინდა ილია მართლის საფლავზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ პარაკლისი გადაიხადა.**

**მთაწმინდის მამადავითის ეკლესია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მოილოცა, ტაძარში სანთელი დაანთო და წმინდა ილია მართლის საფლავზე პარაკლისი გადაიხადა. პარაკლისს მრევლი და სასულიერო პირები, ტაძრის მსახურები ესწრებოდნენ.**

**კათოლიკოს-პატრიარქმა წმინდა ილია მართლისა და მისი მეუღლის, ოლღას საფლავები აკურთხა და მრევლი დალოცა.**

გუშინ წმინდა ილია მართლის, ერისკაცობაში ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე აღინიშნა.

მთაწმინდის პანთეონში პარაკლისის დასრულების შემდეგ, კათოლიკოს- პატრიარქი საგურამოში გაემართა, სადაც ტაძარში ასევე პარაკლისს გადაიხდის.

საგურამოში, პარაკლისის შემდგომ ქადაგებისას პატრიარქმა წმინდა ილია მართლის ღვაწლზე ისაუბრა და მოსახლეობას დღესასწაული მიულოცა. პარაკლისს საგურამოს ეკლესიაში საქართველოს შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი დაესწრნენ. ტაძარში ასევე იმყოფებოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები, ბიზნესმენი ლევან ვასაძე და სამეფო გვარის შთამომავლები დავით და უგო ბაგრატიონები. უწმინდესმა ქადაგებისას ახალი ხელისუფლება დალოცა და ისურვა, ღმერთმა ბევრი სიკეთე გააკეთებინოთ.

— დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვფიქრობთ წარსულზე, დღევანდელ დღესა და მომავალზე. როცა უჭირდა საქართველოს, როცა დაკარგა პოლიტიკური თავისუფლება, როცა რუსეთის იმპერიამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, იმ დროს ღმერთმა გამოგვიგზავნა ეს დიდი პიროვნება, წმინდა ილია მართალი, ჭავჭავაძე. შევთხოვ უფალს, მისი ლოცვით გაძლიერდეს საქართველო დღეს, როდესაც არანაკლებ რთული დროა, — ბრძანა უწმინდესმა. ღმერთმა ინებოს, დავინახოთ ნაკლი, თუ ადამიანი ვერ ხედავს თავის ნაკლს, ცოდვას, ის ვერ გამოსწორდება და დარჩება ცოდვილი. წმინდა ილია ჭავჭავაძე ყოველთვის ფიქრობდა სამშობლოს და არა საკუთარი თავის კეთილდღეობისთვის. ხშირად კრიტიკულად უყურებდა ცალკეულ საკითხებს, მაგრამ ეს არ იყო განკითხვა, ეს იყო ტკივილი. წმინდა ილია მართალმა იტვირთა ორი მძიმე ჯვარი, პოლიტიკური და სულიერი და ორივე ღირსეულად მიიტანა ღვთის საკურთხეველთან. ჩვენ იმედით ვუყურებთ ჩვენს მომავალს, — ბრძანა უწმინდესმა.

— ბევრი ადამიანი ისეთია, რომელიც უფსკრულისკენ მიდის, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც ტკივილით, მაგრამ მაინც მიდის მაღლა. ჩვენ უნდა ავიდეთ ამ კიბეზე და გავხდეთ მკვიდრნი სასუფევლისა. ყველაზე იოლი გზა ამისთვის არის მოწყალება, როდესაც ადამიანი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას. ცხოვრებაში ალბათ ბევრჯერ ყოფილა შემთვხვევა, როდესაც შეხვედრილხართ გაჭირვებულ ადამიანს და ამ დროს თქვენს სულიერ სამყაროში იწყება ბრძოლა, დაეხმაროთ მას თუ არა. ალბათ, ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც გაგივლიათ, მაგრამ შემდეგ უკან დაბრუნებულხართ, რომ დახმარებოდით. ე.ი. კეთილმა აზრმა გაიმარჯვა. ვლოცავ ჩვენს ერს, მხედრობას, ახალ ხელისუფლებას, ღმერთმა ბევრი სიკეთე გაგაკეთებინოთ. ღმერთმა მოგცეთ თქვენ და საქართველოს მშვიდობა და კეთილდღეობა, — ბრძანა უწმინდესმა.

## ◎ კაკალ გულში

### წერტილოვანი ფრაზები

● უწყლოდ, უშუქოდ, უგაზოდ, მშიერ-მწყურვალი უფრო ადვილად გაძლებს ადამიანი, ვიდრე facebook-ის გარეშე.

● უკბილო პროკურორებმა იარონ ახლა პროტეზით და ღამე ჭიქაში შეინახონ.

● ჯერ მწარ(იაშვილი) ჭამე, კვლავ (ტ)კბილი, თუ ეძებ გემოვნებასა.

● ბაქრაძე რამდენ მადლობებს იხდის, მაგან 20 % აიღო თუ ოსკარი?

● ისე ერთი-ორი მაჭავარიანი ქე უნდა გყავდეს ხელისუფლებაში.

● კოჰაბიტაციის შემდგომი აბლექტირებული პოლიტსიმბიოზისათვის, ლატენტურად სენსიტიური თემაა მოპოვებული სტატუს-კვო და ამიტომ იქნა ინიცირებული ჰიპოტეტური სუზერენის აბდიკაციის

მოთხოვნის კამპანია, რომლის ავთენტურობა არალერევანტურ ინსინუაციას გამოიწვევს!!!

კოჟორიძეებო, გიგაურებო, ლომჯარიებო და სხვა გამჭვირვალედ განათლებულებო, გეყურებააათ?

● აი, ამ ხელუკუღმა არტყმით კი, იმ ტიპებს გაუმარჯოს - სადარბაზოებში შარდის სუნზე რომ წუწუნებდნენ, პარალელურად სისხლის სუნით ტკბებოდნენ და „ამაყები“ იყვნენ, რომ ქართული სახელმწიფო შედგა!

● სამოქალაქო სექტორი მოდაში შემოვიდა და სასოფლო ჯერ ვერა.

● იმდენი მიდის სამოქალაქო სექტორში, ვატყობ პოლიტიკური თანამდებობები ვაკანტური გახდება.

● მთავრობა — სამოქალაქო სექტორი:

ცხრა კაციც და... გავდივართ!

●— რას გააკეთებთ, თუ „მწვანე კაცუნას“ დაინახავთ?

— 60 % — სმას თავს დავანებებ.

— 30 % — სმას დავიწყებ.

— 9 % — ფსიქიატრთან წავალ.

მხოლოდ ერთმა თქვა: “ გადავალ გზის მეორე მხარეს.

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

## ◎ კადრები

### მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე იქნება

**ფარცხალაძე ამ დროისთვის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელია.**

**„ინტერპრესნიუსმა“ აღნიშნული ინფორმაცია სამთავრობო უწყებებში გადაამოწმა.**

რამდენიმე სამთავრობო უწყებაში დაადასტურეს, რომ ოთარ ფარცხალაძე მთავარი პროკურორად ნამდვილად ინიშნება.

ფარცხალაძე 1971 წელს არის დაბადებული. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. გარდა ამისა, არსებული ინფორმაციით, პირველი ქორწინებიდან ჰყავს ორი შვილი და ერთი შვილიშვილი.

ოთარ ფარცხალაძე კარგი და ეფექტური მთავარი პროკურორი იქნება, — განაცხადა მოქმედმა შს მინისტრმა და მომავალმა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისი თქმით, ფარცხალაძეს ეყოლება ძალიან ეფექტური გუნდი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ახალგაზრდებით და გამოცდილი პროკურორებით.

## ◎ ეს ჩვენი სინამდვილეა

### რამდენი დაუჯდა ბიუჯეტს მაღალჩინოსნების შენახვა?

**თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ზაზა გაბუნიას განცხადებით, წელს ბიუჯეტს წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების შენახვა 1 300 000 ლარი დაუჯდა.**

**როგორც თბილისის საკრებულოდან იტყობინებიან, ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ თბილისის ბიუჯეტიდან თანხების ფლანგვის მორიგი ფაქტები გაახმოვანა.**

ზაზა გაბუნიას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ 2013 წლის 23 იანვრის თბილისის მთავრობის განკარგულებით, თბილისის მერიის მიერ დაფუძნებული შპს-ების ანგარიშზე 1 მილიონ 282 ათას 500 ლარი კაპიტალის გაზრდის მიზნით ჩაირიცხა.

ზაზა გაბუნიას განცხადებით, კაპიტალის გაზრდის და თანხების გადარიცხვის გადაწყვეტილება მიღებულია მას შემდეგ, რაც შპს „სინათლის ქალაქში“, „ჰერმესში“, „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“ და „თბილსერვის ჯგუფში“ წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების დასაქმების მიზნით შეიქმნა ე.წ. ბორდები. ხოლო აღნიშნული თანხა სწორედ ამ ბორდებში დასაქმებულ ყოფილი მაღალჩინოსნების ხელფასებს ხმარდება.

ზაზა გაბუნიას განცხადებით, მხოლოდ წლევანდელ წელს, იმ ადამიანების შენახვა, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის„ წევრები არიან და რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარლამენტის და სამინისტროების მიღმა აღმოჩნდნენ, თბილისის ბიუჯეტს 1 მილიონ 282 ათას 500 ლარი დაუჯდა. „იმ ფონზე, როცა მერია ფინანსების არქონის მოტივით, ვერ უმკლავდება ქალაქში არსებულ სოციალურ პრობლემებს, ეს გადაწყვეტილება არის გაუგონარი თავხედობა. ბიუჯეტის თანხები პარტიული ინტერესებისათვის იხარჯება. არის ნეპოტიზმის ფაქტები და შესაბამისად, ადგილი აქვს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დარღვევის ფაქტებს, — აღნიშნა ზაზა გაბუნიამ.

ზაზა გაბუნია მოუწოდებს თბილისის მერიას, გააუქმოს აღნიშნული ბორდები. წინაღმდეგ შემთხვევაში, დეპუტატი არ გამორიცხავს, თბილისის მერიის გადაწყვეტილება სასამართლოში გასაჩივრდეს.

**ინტერპრესი**

## ◎ ეკონომიკა

# კრიტიკა ვალების და ფასების გამო

**საქართველოს დეფლაციისა და ვალების გამო აკრიტიკებენ. თუმცა, ამ მხრივ ვითარება თანდათან იცვლება. ოქტომბერში ფასების ზრდამ 32-თვიან მაქსიმუმს უწია, ვალების მომსახურებაც ჯერჯერობით ხერხდება.**

**საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს წლიური ეკონომიკური ზრდის პროგნოზს (2,5%) უცვლელად ტოვებს. ეს მაჩვენებელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიის რეგიონში, სადაც საქართველოს გარდა შვიდი ქვეყანაა დაჯგუფებული (სომხეთი, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი) ყველაზე დაბალია.**

მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის შენელებული ტემპებით ჩვენს შემდეგ მეზობელი აზერბაიჯანი (3,5%) და სომხეთი (4,6%) ლიდერობენ. კიდევ უფრო უკეთესი მდგომარეობაა თურქეთში, სადაც წლეულს 3 კვარტლის მონაცემებმა საპროგნოზი მაჩვენებლებსაც კი გადააჭარბა. ჩვენმა მეზობლებმა ეკონომიკური ზრდა 3,5%-ის ფარგლებში დაგეგმეს, მაგრამ უკვე 4,4%-იანი წინსვლა გამოუვიდათ.

სსფ-ში აცხადებენ, რომ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ეკონომიკური სტაბილურობა, ჯერჯერობით, მაინც შენარჩუნებულია, გარკვეულწილად, რუსეთში დასაქმებული ემიგრანტების გადარიცხვების წყალობით. თუმცა, ჩრდილოეთში ეკონომიკური ზრდის შემცირება უარყოფით გავლენას რეგიონზე მომავალში მაინც იქონიებს. საყურადღებოა, რომ რუსეთი ჯერჯერობით 1,8%-იან მაჩვენებელს ვერ გასცდა და ის მშპ-ს ზრდის ტემპით საქართველოს უტოლდება.

— განვითარებად ქვეყნებში (რუსეთში, ინდოეთში, ჩინეთსა და ბრაზილიაში) ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი დაგეგმილს მკვეთრად ჩამორჩება, რაც რეგიონის ნავთობის იმპორტიორი ქვეყნების მშპ-საც შეეხება — ექსპორტისა და პროექტების ორმხრივი ოფიციალური დაკრედიტების მოცულობას შეამცირებს, — აღნიშნულია მიმოხილვაში.

უცხოელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ნავთობიმპორტიორ ქვეყნებს სავაჭრო დეფიციტის დაფარვა საგარეო ვალითა და უცხოური ინვესტიციებით მოუწევთ. „საქართველოს მდგომარეობა კი ამ მხრივ, ვალდებულებების ზრდამ კიდევ უფრო გააუარესა“, — აღნიშნულია სსფ-ის მიმოხილვაში.

საქართველომ უცხოელი ექსპერტების შენიშვნა დეფლაციის გამოც მიიღო. 2012 წლის დასაწყისიდან ლარის გაცვლითი კურსი საკვებსა და ენერგეტიკაზე ფასების კლების, აგრეთვე შიდა მოთხოვნის შემცირების გამო, გამყარდა. „მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი შეამცირა, ინფლაცია კვლავ რჩება 6%-ს ქვემოთ, რაც საშუალოვადიანი მიზანია“, — აღნიშნულია მიმოხილვაში.

წელს საქართველოში ინფლაციის დონე, სავალუტო ფონდის პროგნოზით, -0,3 % იქნება, რაც რეგიონში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ექსპერტები მომავალ წელს ამ მაჩვენებლის 4%-მდე ზრდას ვარაუდობენ.

სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრებისა რა გითხრათ, მაგრამ ინფლაციის „გამოსწორებაზე“ მთავრობამ უკვე იზრუნა. 2013 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონე 1,5% იყო, რაც 2011 წლის თებერვლის შემდეგ მაქსიმალური მაჩვენებელია. ეს ნიშნავს, რომ ინფლაცია 32-თვიან მაქსიმუმზე „გავიდა“.

„საქსტატის“ ინფორმაციით, 2013 წლის ოქტომბერში წლიური ინფლაცია 0,2%-ის დონეზეა. აღსანიშნავია, რომ წელს სულ 2-ჯერ, ივნისში და ოქტომბერში დაფიქსირდა ინფლაცია, სხვა თვეები კი დეფლაციური იყო. საშუალო წლიური ინფლაციის დონე 0,9%-ია.

„საქსტატის“ მონაცემებით, ოქტომბერში, სექტემბერთან შედარებით, ფასები გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვის, სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების, ასევე, წყლის, ელექტროენერგიის, აირის ჯგუფებზე.

ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფში ფასები გაიზარდა 10,1%-ით, რომლის წვლილმაც ოქტომბრის ინფლაციის მაჩვენებელში 0,85 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღნიშნულ ჯგუფში ფასების ზრდა დაფიქსირდა საავადმყოფოების მომსახურების ქვეჯგუფზე (37,7%). სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 1,5%-ით.

**გიორგი ბექაური**

◎ ალიარება

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, 2013 წელს იუნესკოს მიერ დაფუძნებულ მეცნიერების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამოჩენილ მეცნიერთა სახელობითი აკადემიური პრემიები მიენიჭათ:**

***1. გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია*** — ავტორთა ჯგუფს: აკად. წევრ-კორ. **გიორგი თავაძეს,** ტექნ. მეცნ. დოქტ. **გიორგი ონიაშვილს**, ტექნ. მეცნ. კანდ. **ზურაბ ასლამაზაშვილსა** და ტექნ. მეცნ. კანდ. **გარეგინ ზახაროვს** ნაშრომთა ციკლისათვის „ტიტანალუმინის ერთფაზიანი ნანოსტრუქტურული მასალების სინთეზის ტექნოლოგია“ (2008-2012 წ.წ.)“.

***2. რაფიელ აგლაძის სახელობის პრემია*** — ავტორთა ჯგუფს: ტექნ. მეცნ. დოქტ. **გიორგი აგლაძეს** (გარდაცვალების შემდეგ), საინჟ. მეცნ. აკად. დოქტ. **პაატა ნიკოლეიშვილს,** საინჟ. მეცნ. აკად. დოქტ. **გიორგი გორელიშვილს,** ქიმ. მეცნ. კანდ. **გიგლა წურწუმიას** და ტექნ. მეცნ. კანდ. **ვალენტინა კვესელავას** ნაშრომთა ციკლისათვის „ელექტროქიმიურ სისტემებში წყალბადის პეროქსიდის გენერაციის ტექნოლოგიის საფუძვლების დამუშავება მდგრადი ორგანული მინარევებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით“ (2008-2012 წ.წ.).

***3. გიორგი წერეთლის სახელობის პრემია*** — ფილოლ. დოქტ., თსუ ასოც. პროფ. **ნინო ეჯიბაძეს** ნაშრომთა ციკლისათვის არაბული ენის ეგვიპტური დიალექტის შესახებ: „ზარის რიტუალი ეგვიპტეში“ (2010 წ.), „ეგვიპტური დიალექტის გრამატიკა, I, ფონეტიკა, მორფოლოგია, მორფოფონეტიკა“ (2010 წ.), „ეგვიპტური დიალექტის გრამატიკა, II, სინტაქსი“ (2012 წ.), „ეგვიპტის არაბული მეტყველების ზოგიერთი ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ასპექტი“ (2012 წ.)

***4. არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია*** — ფილოლ. მეცნ. დოქტ., პროფ. **გიორგი გოგოლაშვილს** ნაშრომთა ციკლისათვის: „ქართული სალიტერატური ენა (ისტორია და თანამედროვეობა, 2009 წ.)“, „ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები, 2010 წ.)“, „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია (სალიტერატურო ენა, 2011 წ., თანაავტორობით)“.

***5. დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემია*** — ფსიქ. მეცნ. დოქტ. **მარინა ბალიაშვილს** ნაშრომისათვის „პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (2012 წ.).

***6. სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია*** — აკად. **მარიამ ლორთქიფანიძეს** ნაშრომისათვის „აფხაზები და აფხაზეთი“ (2012 წ.).

***7. ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის პრემია*** — აკად. **გიორგი ჯაფარიძეს** ნაშრომთა ციკლისათვის „მეტალი-იზოლატორი — გადასვლები კვანტურ მავთულებში „ძლიერი სპინ-ორბიტალური ურთიერთქმედებით“ (2009-2011 წ.წ.).

***8. ლეო დავითაშვილის სახელობის პრემია*** — აკად. **აბესალომ ვეკუას** და აკად. წევრ-კორ. **დავით ლორთქიფანიძეს** ნაშრომისათვის „დმანისელი ჰომინიდები“ (2011 წ.).

***9. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია*** — გეოგრაფ. მეცნ. კანდ. **იოსებ სალუქვაძეს** ნაშრომთა ციკლისათვის „სოციალური დაგეგმარებითი ცვლილებები პოსტსაბჭოთა თბილისში“.

***10. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის სახელობის პრემია*** — მედ. მეცნ. დოქტ., პროფ. **რამაზ შენგელიას** ნაშრომთა ციკლისათვის: „მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია“ (წიგნი I, ძველი აღმოსავლეთი, 2009 წ.); „Caucasian Longevity and Georgian Traditional Medicine“ (2010 წ.), „ბიოსამედიცინო ეთიკა“ (2011 წ.) და „მედიცინა და ზოგადი თეორია“ (წიგნი I-II, ძველი აღმოსავლეთი; დასავლეთის სამედიცინო ტრადიციები, 2012 წ.).

◎ ვის ჭირდება ეს?

# ლუსტრაცია — უკან მიდევნებული ლამპარი

**ქართულ პოლიტიკურ სპექტრსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში მყოფი ჩეკისტების წარსული და... მომავალი**

**ლუსტრაციის შესახებ კანონი პერიოდულად გვახსენებს თავს. კითხვა კითხვად რჩება, არიან თუ არა ქართულ პოლიტიკასა და არასამთავრობო სექტორში პირები, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ, ან ფარული კავშირი ჰქონდათ ყოფილ საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებთან?! ამის გარკვევას, სავარაუდოდ, შს სამინისტრო შეუდგება.**

საკანონმდებლო ორგანოს ბიურომ უკვე დაარეგისტრირა კანონპროექტი, რომელიც ამ ადამიანების ლუსტრაციას გულისხმობს. „თავისუფლების ქარტიაში“ ცვლილებების შეტანის შემდეგ კი, აგენტების საქმეების შემსწავლელი კომისია კანონის მიღებიდან 2 თვეში უნდა შეიქმნას შს სამინისტროში. შესაბამისად, საბჭოთა სპეცსამსახურებთან კავშირში მყოფ ადამიანებს გარკვეულ თანამდებობებზე მუშაობა აეკრძალებათ.

ნაციონალების დროს ამ თემის აჟიტირებით ყოფილი დეპუტატი გია თორთლაძე იყო დაკავებული. წინა მოწვევის პარლამენტმა სწორედ თორთლაძის ინიციატივით მიიღო „თავისუფლების ქარტია“, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების საიდუმლო თანამშრომლების გამოვლენას გულისხმობდა. თუმცა, კანონის დამტკიცების მიუხედავად, მაშინდელ შსს-ში კომისია არ შექმნილა. იმ დროს იმასაც ამბობდნენ, რომ ლუსტრაციის კანონი ნაციონალებს „კუდიანებზე სანადიროდ“ და არასასურველი პირების გასანეიტრალებლად სჭირდებოდათ.

თუმცა, აღმოჩნდა, რომ გია თორთლაძეს დღესაც აღელვებს ეს საკითხი. ის აცხადებს, რომ ყოფილი კგბ-ს აგენტებით, გამოკვეთილი ჩეკისტებით, თავის დროზეც, სავსე იყო ქართული პოლიტიკური სპექტრი და დღესაც ისინი აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკაში ან არასამთავრობო სექტორში.

მის საპირისპიროდ, უშიშროების სფეროს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ლუსტრაცია უკვე დაგვიანებულია, რადგან ადამიანები, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ, იმ ასაკში არიან, რომ თანამდებობები აღარ უკავიათ.

შს არქივის გარდა, საბჭოთა აგენტების შესახებ პირველადი ინფორმაციის მოძიება ბრიტანეთსა და ამერიკაშიც შესაძლებელია. ცნობილია, რომ ბორის ელცინის ბრძანებით, 1992-93 წლებში კომუნისტური პარტიისა და სუკის არქივები გახსნეს და, სავარაუდოდ, გაყიდული 25 მილიონი დოკუმენტის მოპოვება უკვე სწორედ ამ ქვეყნებშია საძიებელი.

უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი ბესო ალადაშვილი For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ თითქმის 15 წელია, ამ თემაზე ვსაუბრობთ და ლუსტრაციის საკითხი მაინც საუბრის დონეზე რჩება. მისი თქმით, ლუსტრაციის პროცესი გადაბმულია არქივების თემასთან და იმის გამო, რომ საარქივო დოკუმენტები არ არსებობს, ლუსტრაციაც გართულდება. ხელოვნურად დოკუმენტების შექმნა კი დაუშვებელია.

ბესო ალადაშვილი მიიჩნევს, რომ შს სამინისტროს ნაცვლად, საზოგადოებრივმა კომისიამ უნდა განიხილოს ეს საკითხი, რათა უწყებრივი დაქვემდებარება გამოირიცხოს. სწორედ ასეთი კომისიებია შექმნილი პოლონეთში, ჩეხეთში, ბალტიისპირეთში, სადაც საზოგადოებრივ კომისიებს გადაეცა არქივები და ინფორმაციის განსაჯაროების უფლება. აღნიშნულ ქვეყნებში საზოგადოებრივი სტრუქტურები ნებისმიერ ადამიანს აწვდიან შესაბამის ინფორმაციას, მათ შორის, იმასაც, არსებობდა თუ არა ცალკეული პირის შესახებ საიდუმლო საარქივო მასალები, ფარული მოსმენები და ა.შ.

**„ნაციონალებმა ეს კანონი პოლიტიკური კონიუნქტურის გამო მიიღეს. წარმოიდგინეთ ასეთი მოდელი, ვთქვათ, ნაციონალების დროს არსებობდა შს სამინისტროში კომისია, რომელიც გარკვეულ დოკუმენტებზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ რომელიმე ოპოზიციონერი ბავშვობიდან იყო სუკის აგენტი, ან სუკთან თანამშრომლობდა. ამ შემთხვევაში, ძალიან ძნელი იყო, შეგვემოწმებინა სანდოობის მომენტი. მით უფრო, რომ გასარკვევი იყო, საარქივო დოკუმენტაცია რამდენად სწორად გახლდათ აღწერილი, ან არსებობდა თუ არა საერთოდ ეს დოკუმენტაცია. ხოლო ის ერთი-ორი ადამიანი, რომელთაც ნაციონალები უკრძალავდნენ თანამდებობის დაკავებას, უკვე 70 წლამდე არიან მიღწეულნი. „კოლმეურნეობის თავმჯდომარის“ არ იყოს, ჩამოთვლილიცაა ის ნომენკლატურა, რომელიც მაშინ მუშაობდა. ამიტომ, დღეს ეს უბრალოდ სასაცილოა და ეს არის ბეღურებისთვის ზარბაზნების სროლა“,** — აცხადებს ბესო ალადაშვილი.

ამასთან, მიიჩნევს, რომ საბჭოთა აგენტების გამოვლენის ნაცვლად, უმჯობესია, რეალურად შევისწავლოთ უცხო ქვეყნების აგენტურა. ეს იქნება მეგობარი ქვეყნების (ამერიკა, ნატო), თუ ოპონენტი ქვეყნების (რუსეთი, სომხეთი), რომლებიც თავისუფლად და გალაღებულად მოქმედებენ საქართველოში. ამიტომ სწორედ კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა უნდა გამოავლინოს დღეს მოქმედი აგენტურა, რაც მათი კომპეტენციაა.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე ადასტურებს, რომ ლუსტრაციის შესახებ კანონი დაგვიანებულია. მისი აზრით, ეს კანონი მარტო სპეცსამსახურების თანამშრომლებს არ მოიცავს და აქ საუბარია პარტიულ ნომენკლატურაზე, რომელთაც შეეძლოთ, უარყოფითი გავლენა მოეხდინათ ქვეყნის განვითარებაზე. თუმცა, ექსპერტის აზრით, უკვე ორი ათეული წელია, ამ რეჟიმში ვცხოვრობთ, საბჭოთა დროს კარგიც და ცუდიც ვიწვნიეთ და ახლა ეს ყველაფერი აზრს კარგავს. ამას ემატება სპეცსამსახურების თანამშრომლების ხანდაზმული ასაკიც, რომელთა გავლენაც შემცირებულია და ქვეყანას ეს პრობლემა აღარ აწუხებს.

რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, როცა ამ ძველ ხელმოწერებზე აპელირებით შეიძლებოდა შედარებით ახალგაზრდა თაობის გადაბირება, გიორგი თავდგირიძის აზრით, ეს უკვე კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დატვირთვაა. უფრო მეტიც, თუ ჩვენ გვაქვს პრობლემა, რომ საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთის სპეცსამსახურებს კვლავაც აქვს დიდი გავლენა საქართველოზე, მაშინ უნდა გავაძლიეროთ კონტრდაზვერვა და, შესაბამისად, ამ მეთოდებით ვიმუშავოთ.

**— დრო ყველაფრის მკურნალია და ამ თემას დრომ უკვე უმკურნალა. საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით ლუსტრაციის კანონის ამოქმედება ჭრილობების გახსენება, კომპრომატების ომი და წამოძახების საშუალება იქნება. ბევრი უსიამოვნო ფაქტი წამოტივტივდება, რაც დამღა იქნება მათი შვილებისთვის, რომელთაც არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ. ალბათ, ეს არ დაემსგავსება კუდიანებზე ნადირობას, მაგრამ ჭრილობები კვლავ გაიხსნება. ეს პერიოდი ჩვენ უკვე გამოვიარეთ, გვინდოდა თუ არა, ვიყავით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში,** — აცხადებს გიორგი თავდგირიძე ჩვენთან საუბარში.

— „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლევან ბერძენიშვილი For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ აქ კონკრეტულ ადამიანებზეა საუბარი. კერძოდ, ასეულობით ადამიანია, რომელიც რაიკომის მდივანი იყო შევარდნაძის დროს და ახლაც აქტიურები არიან.

**„ჩვენ არაფერს არ ვცვლით კანონის ამ ნაწილში. ეს კანონი ახალი არ არის, არამედ უკვე არსებულია. თუმცა, ჩვენს ქვეყანაში ვიღაცას ჰგონია, რომ კანონებმა არ უნდა იმოქმედოს. მე, როგორც პარლამენტის წევრი, მომხრე ვარ, კანონებმა იმოქმედოს. ამიტომ შს სამინისტროს მოვუწოდებთ, შექმნას კომისია, რაც მას კანონმა წინა ხელისუფლების დროს დაავალა და პარლამენტის წევრები (ვისაც გვაქვს უფლება) ერთი კაცის შემადგენლობით, შევალთ ამ კომისიაში. თუ არაა საუბარი აგენტებზე და საამისო მასალა არ გვაქვს, თუკი არავის ეხება ეს კანონი და ეს ადამიანები უკვე მოხუცები არიან, მაშინ სხვა საკითხებს განვიხილავთ. უამრავი საკითხი აქვს კომისიას გადასაწყვეტი“,** — აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

მისი განმარტებით, საზოგადოებრივი კომისიის შექმნა პრობლემა არ არის, უბრალოდ, კანონში წერია, რომ შს სამინისტროში უნდა შეიქმნას ეს კომისია და, შესაბამისად, პარლამენტარებიც ამ კანონს ემორჩილებიან.

**ჩვენ დავუკავშირდით შს სამინისტროს, სადაც აღნიშნეს, რომ ეს კანონი შს სამინისტროს მიერ არ არის ინიცირებული. ამიტომ ისინი პარლამენტის გადაწყვეტილებას დაელოდებიან და, თუ ამ კანონის ცვლილებები დამტკიცდება ისინიც შესაბამისად იმოქმედებენ.**

**მანანა ნოზაძე**

## პეტრე მამრაძე:

# თუკი პრემიერი ჟვანია ვინმეს შეგნებულად მოკლა, ამას ვერ იზამდა დაცვის თანამშრომლების თანამონაწილეობის გარეშე

## მათ იციან ყველაფერი და შეუძლიათ ნათელი მოჰფინონ ამ საქმეს

**ნომრის სტუმარია მთავრობის კანცელარიის ყოფილი უფროსი პეტრე მამრაძე**

**— ბატონო პეტრე, ჩავლილმა არჩევნებმა მმართველობის ერთპარტიული ღერძი მოგვცა. როგორ წარმოგიდგენიათ მოვლენების განვითარება ახლა უკვე ბიძინა ივანიშვილის გარეშე?**

— ცნობილი გამონათქვამია, რომ ძალაუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის. გაიხსენეთ ოქრუაშვილის განცხადება ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ: სააკაშვილს, მე და კიდევ რამდენიმე ადამიანს შეუზღუდავი ძალაუფლება გვქონდა, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანასო.

დღევანდელი სახელისუფლებო გუნდიდან მე გამოვყოფდი ივანიშვილს. იგი იყო უდიდესი ქველმოქმედი, არასოდეს ჰქონია პოლიტიკაში მოსვლის სურვილი, მეტიც, საერთოდ არ უნდოდა გაკარებოდა პოლიტიკას... ახლაც ივანიშვილი გადადის გაცილებით მნიშვნელოვან სფეროში, სადაც კიდევ უფრო მეტი იქნება მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი. მან ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვა, ჩვენ ვართ ერთი ოჯახი და ოჯახის წევრები აკეთებენ იმას, ვისაც რა შეუძლიაო. ზნეობრივად ეს პრინციპი ჩემთვის გასაგებია. ასეთი მსოფლმხედველობა თუ გადაგვარჩენს ამ გლობალიზაციის პროცესში.

თუმცა, სხვა პრეტენზიები მაქვს მთავრობის წევრებთან. ივანიშვილმა 2011 წელს იმუშავა იმ მასალაზე, რომელიც მაშინ მის გარშემო აღმოჩნდა და შექმნა კოალიცია, რომელშიც ის პარტიები შევიდნენ, რომლებიც ივანიშვილის ფაქტორის გარეშე ბარიერსაც ვერ გადალახავდნენ. ასევე, ჩვენ ვიცით მათი ურთიერთდამოკიდებულება.

**— ე. ი. კოალიცია მყიფეა, რა ემუქრება მას ივანიშვილის ფაქტორის გარეშე?**

— კოალიცია თავისთავად მყიფეა, მაგრამ ივანიშვილი საკმარისზე მეტი დუღაბია. მის გარეშე რაზეა ლაპარაკი? ის რჩება დამოკლეს მახვილივით, მიდის პოლიტიკური თანამდებობიდან, მაგრამ არსებობს. იმუშავებს ფონდებზე და გვერდიდან დააკვირდება პროცესებს... კოალიციაში 6 პარტიაა და მათ კარგად იციან, რომ თუ ნამეტანს აურევენ, შეიძლება ივანიშვილი ნებისმიერ დროს კვლავ დაბრუნდეს პოლიტიკაში და ისინი პოლიტიკურ სამარეში ჩავლენ. ეს ადუღაბებს მათ ერთობას.

**— რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს...**

— ივანიშვილი მას ბოლომდე ენდობა, რადგან არის უპატიოსნესი და უერთგულესი ადამიანი. როცა საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ხელმძღვანელობდა სრულიად ახალგაზრდა, ჭორიც კი არ აგორებულა მასზე, პირიქით, ყველა დადებითად ახასიათებდა. ერთი წელიწადი ისეთ სამინისტროს უხელმძღვანელა, სადაც ყველაზე მეტად შეიძლებოდა ყოფილიყო საბოტაჟი, მაგრამ მან ზომბირებული თანამშრომლების უმეტესობა აპოლიტიკურ რელსებზე გადაიყვანა...

**— პრეზიდენტი მარგველაშვილი რამდენად გაართმევს თავს თანამდებობას?**

— მარგველაშვილს პირადად ვიცნობ. არის ინტელიგენტი, ერუდირებული პიროვნება, შეუძლია ურთიერთობა ადამიანებთან... ესეც არ იყოს, ახალი კონსტიტუციით მას ეზღუდება უფლებები, რაც თავისთავად კარგია. ჩვენ უნდა გადავიდეთ კლასიკურ საპარლამენტო რესპუბლიკაზე. მაგალითად, პრეზიდენტი არ უნდა იყოს მთავარსარდალი, ასევე მას არ უნდა ირჩევდეს ხალხი, არამედ უნდა აირჩიოს პარლამენტმა. მაშინ დაესმება წერტილი ბელადომანიას...

**— მაგრამ ძლიერდება პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი...**

— ჰო, არის ამის საშიშროებაც. ამის მაგალითია უნგრეთის პრემიერი, თანაც შუაგულ ევროპაში, ამიტომ ვამბობ, რომ პიროვნებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ინსტიტუტებმა იმუშაონ გამართულად.

**— შეძლებს კი ეს პარლამენტი ასეთი ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელებას?**

— ჯერჯერობით ნამდვილად ვერ ვხედავ ამის მოტივაციას და შემართებას. დიდი ოპტიმიზმით არ გამოვირჩევი. ვვითარდებით... ჩვენთან ჯერ ისევ პლურალისტური ფეოდალიზმია და პოლიტიკური პარტიები ჩანასახის დონეზეც არ ჩანან. არის ლიდერი, მის გარშემო შემოკრებილი ნაცნობ-მეგობორები, აქვთ კარგი ოფისი, მანქანები და ახდენენ ცნობადობის კაპიტალიზაციას. შესაძლოა, ძალაუფლება ვერასდროს აიღონ ხელში, მაგრამ წლების განმავლობაში მაინც ტივტივებენ... პრინციპები, იდეოლოგია გვერდზე რჩება. ეს კარგად გამოჩნდა ამ არჩევნებზეც, როცა პარტიები დომინანტი გახდნენ მხოლოდ პიროვნების ფაქტორის გამო. კოალიცია „ქართული ოცნება“ და ნაციონალები. მაგრამ ასეთი ეროზია დასავლეთშიც ხდება...

**— პრეზიდენტის სასახლის შესახებ რას იტყვით. რამდენად მართებულია ახალი ხელისუფლების გადაწყვეტილება, სხვა, უფრო მოკრძალებული საპრეზიდენტო რეზიდენციის მშენებლობის თაობაზე?**

— ამის კარგი მაგალითია ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომელთაც აქვთ გაცილებით მეტი რესურსი, ვიდრე საქართველოს, მაგრამ არ აქვთ ასეთი ფეშენებელური რეზიდენციები. „კალიგულას სასახლედ“ წოდებული ეს რეზიდენცია კი ჩვენი ქვეყნის გროტესკია. თეთრ სახლში ნამყოფი ვარ და მისი ამ სასახლესთან შედარებაც არ შეიძლება, იმდენად მოკრძალებულად გამოიყურება ის. ეს სასახლე კი იმის ნიმუშია, რომ საქართველოში იყო ხაზინის ქურდების ავტორიტარული რეჟიმი.

**— მაგრამ სააკაშვილი ტოვებს ამ სასახლეს, არა?**

— საბოლოოდ არ მიაქვს, ტოვებს, მაგრამ მისი განზრახვა სხვა იყო. ის სამუდამოდ რჩებოდა. ჯერ გადადიოდა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე, მერე კვლავ პრეზიდენტად მოგვევლინებოდა, პუტინის მსგავსად (პუტინი ხომ მისი კერპია). ღატაკ ქვეყანაში, რომელსაც აქვს ექსპორტ-იმპორტის დეფიციტი, რომლის მოსახლეობის მეოთხედზე მეტი გასულია საზღვარგარეთ სამუშაოდ, არ შეიძლება სააკაშვილი და მისი გარემოცვა ასეთ ფუფუნებაში ცხოვრობდნენ. უცხოელი დიპლომატები ამის შემხედვარე სახტად რჩებოდნენ.

**— ახალმა მინისტრებმა უკეთესი მანქანები შეიძინეს...**

— როცა ეს გავიგე, განგაში ავტეხე. უცხოეთში მთავრობის წევრები ასეთ სურვილს ვერასოდეს აისრულებენ. გერმანიის კანცლერმა შრედერმა მოინდომა ძვირადღირებული მანქანის ყიდვა, ბიუჯეტის მეშვეობით. ბუნდესტაგში განიხილეს, დაგმეს, ატყდა სკანდალი და არ აყიდინეს. იცით, საიდან ვიცი ეს ამბავი? მერე მითხრეს მეგობარმა გერმანელმა დიპლომატებმა, ის მანქანა თქვენთან რომ საჰაერო ნავიგაციის ხელმძღვანელია — კარბელაშვილი, იმან შეიძინა ბიუჯეტიდანო. გერმანიის კანცლერს კი ამის გამო კინაღამ კისერი მოსტეხეს. აი, აქ დაისმის წერტილი. პოლიტიკოსები ბურთებს ათამაშებენ მოსახლეობის თავზე, აპამპულავებენ. თქვა კიდევაც ივანიშვილმა: ჩვენ საზოგადოებას უჭირს სწორი არჩევანის გაკეთება, ხოლო არჩევანს რომ გააკეთებენ, მერე ვეღარ აკონტროლებენ ხელისუფლებასო.

**— ბატონო პეტრე, თქვენ ბოლო პერიოდში კვლავ მოგიწიათ კომენტარი გაგეკეთებინათ ჟვანიას საქმეზე. ამ ხნის მანძილზე შეიცვალა თქვენთვის რაიმე, თუ თავდაპირველ ვერსიას ემხრობით კვლავ — რომ პრემიერი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა?**

— ჩემთვის არაფერი შეცვლილა. საქმის მასალები არ მინახავს, არც მტკიცებულებები უჩვენებია ვინმეს. უბრალოდ კონფიდენციალური საუბრებიდან გამომდინარე, ჩემი უახლოესი ადამიანების ნაამბობებიდან გამომაქვს დასკვნა. მათგან ზოგმა ნახა, ზოგი მასალებს გაეცნო, ზოგიც დამატებით ინფორმაციას ფლობს. მაშინვე შევხვდი რამდენიმე ელჩს, დიპლომატებს და არც ერთ მათგანს არ შეპარვია ეჭვი იმაში, რომ ეს იყო უბედური შემთხვევა. თუმცა, მეც მაქვს კითხვები, მაგალითად იუსუპოვის ცალ ფეხსაცმელთან დაკავშირებით, ასევე იმაზეც, რომ მაგიდაზე დადებულ ნივთებზე არ იყო თითის ანაბეჭდები. თანაც... თუ ის ვერსია მართალია, რისიც მე დღემდე მჯერა, ხომ შეიძლებოდა ვიღაცას შეგნებულად შეეშვა გაზი?! ჩემი აზრით, შემთხვევის ადგილზე მოხდა უხეში ჩარევა. ითქვა, რომ არსებობს ვიდეო, სადაც ჩანს, ერთი ცხედარი როგორ გაიტანეს და დააბრუნეს. თუკი მოხდა ჩარევა, მაშინ, საინტერესოა, ვისი მითითებით. ჩემი აზრით, ამას ვერავინ გაბედავდა სააკაშვილის გადაწყვეტილების გარეშე.

**— მაგრამ ისიც ხომ ითქვა, რომ იმ სახლში გაზი გამორთული იყო.**

— ხომ ამბობს დაცვის ოფიცერი, წინა ღამე იმ ბინაში გავატარე იმიტომ, რომ გაზის გამართული მუშაობა შემემოწმებინაო. ზოგმა თქვა გაზი, გამორთული იყოო, მაგრამ ზოგი პირიქით ამბობს.

**— საერთოდ, თქვენ დაცვის სამსახური რამდენად მართალი გგონიათ ამ საქმეში?**

— თუკი ჩემთვის დიდი კითხვის ნიშანი არსებობს, ეს დაცვის სამსახურია. მათ აბსოლუტურად ყველაფერი იციან და შეუძლიათ ნათელი მოჰფინონ ამ საქმეს. დაცვა ტრიალებს დასაცავი პირის შორიახლოს. ის ან გვერდით ოთახში უნდა იმყოფებოდეს, ან გარეთ იქვე იდგეს. გარკვეული დროის შემდეგ, თუკი ვიზუალურად ვერ ხედავენ დასაცავ ობიექტს ურეკავენ და უნდა უპასუხოს. მაგრამ ამ საქმეში ჩანს, რომ ისინი რაღაც მომენტში, გარკვეული დროით ტოვებენ პრემიერს. რატომ? თუკი პრემიერი ვინმემ შეგნებულად მოკლა, ამას ვერ იზამდა დაცვის მუშაკთა თანამონაწილეობის გარეშე... ჩვენ კი ვხედავთ, რომ ისინი დაკავებული არც არასოდეს ყოფილან.

**— რაც შეეხება, ამერიკის ფედერალური ბიუროს დასკვნას, რომელიც, როგორც ითქვა, არასწორად თარგმნეს, თქვენ კითხვებს არ გიჩენთ?**

— ამერიკელებს იოტისოდენა ეჭვი რომ გასჩენოდათ, ამ საქმეს ასე ადვილად არ მოეშვებოდნენ. ადმინისტრაციის წარმომადგენლები უმაღლეს დონეზე აცხადებდნენ, რომ მათ ეჭვები არ ჰქონდათ.

**— როცა პროკურატურა მკვლელობის ვერსიას ამუშავებს, როგორ ფიქრობთ, გზას აცდა?**

— ეს თქვენ ვიღაცამ გითხრათ, თუმცა, კბილაშვილს არსად არ უთქვამს, რომ ის ამ ვერსიაზე მუშაობს. ის თავის გამონათქვამებში ძალიან კორექტულია.

**— და თუ არ იყო მკვლელობა, მაშინ რატომ ვერ დახურა ეს საქმე წინა ხელისუფლებამ?**

— იმიტომ, რომ არის გარემოებები, რომლებიც კითხვებს აჩენს. ყოველ შემთხვევაში, იმ ადამიანებს, რომლებმაც მე ეს ამბავი მიამბეს, არავითარი მოტივაცია არ ჰქონდათ, ჩემთვის ტყუილი ეთქვათ.

**— შეიძლება მათ ნახეს ის სიტუაცია, როგორიც ვთქვათ მკვლელობის შემდეგ განვითარდა და ამის სჯერათ. მაგრამ რა იციან, იქამდე რა მოხდა?**

— შეიძლება! არაფერი არ არის გამორიცხული. ვიყავი რა, ჟვანიას გუნდის წევრი, რა თქმა უნდა, ყოველთვის მაინტერესებდა, რა მოხდა. ამიტომ მოზაიკასავით ვადგენდი ამ სურათს.

მენიშნა ისიც, ამას წინათ რომ თქვა მიხეილ მაჭავარიანმა გოგლა ჟვანიას მისამართით: კარგად მესმის, რომ საზოგადოებას აქვს კითხვები, მაგრამ არ მესმის, რატომ უნდა ჰქონდეს კითხვები გოგლასო. სააკაშვილმაც განაცხადა, ჩვენ ყველაფერი ვაჩვენეთ ოჯახსო. რაც შეეხება, ამერიკის ფედერალური ბიუროს ექსპერტების დასკვნას, ის შეიცავს ჟვანიას პირადი ცხოვრების დეტალებს, მაგრამ ესეც ბოლომდე გავაცანით ოჯახსო. რემა ჟვანიამაც ასეთი განცხადება გააკეთა: მიშას ხელ-ფეხი აქვს შეკრული, რადგან ზურაბის მკვლელობა უკავშირდება მიშასთვის ძვირფას ადამიანსო.

**— ვინ იგულისხმება?**

— ჩემი ვარაუდით, აქ ნაგულისხმებია თემურ ალასანია, რადგან ჟვანიასა და სააკაშვილის ბიძის გზები არაერთხელ გადაიკვეთა, არც თუ სასიამოვნოდ. ამაზე ახლა ლაპარაკი არ მინდა.

**— ე. ი. შეიძლება კონფიდენციალურ ბინაში შეხვედრა მოხდა, თუმცა, გამორიცხული არაა, რომ იქ ისინი ვინმეს შეგნებულად გაეგუდა?**

— დიახ...

**— რამდენად საჭირო იყო ამერიკის ფედერალურ ბიუროს გამოემზეურებინა პრემიერის ინტიმური დეტალები?**

— აქ მე ვჩერდები...

თუმცა, გამოძიებამ უნდა აღწეროს არსებული სიტუაცია. ვის რაში დასჭირდება ეს და ვის არა, გამოძიების საქმე არ არის.

**— მაგრამ სანამ ამერიკელები იტყოდნენ რამეს უბედური შემთხვევის შესახებ, საზოგადოებას მანამდე მიეწოდა ეს ინფორმაცია, თუმცა ჭორად... ვის სჭირდებოდა ეს?**

— ვერ გეტყვით. მე რომ რამე ვიცოდე, გამოვაქვეყნებდი, რადგან დემოკრატიის პირობებში შეუძლებელია მოსახლეობას 9 წლის მანძილზე მყარი ეჭვები ჰქონდეს პრემიერის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

სააკაშვილსა და მის გარემოცვას თუ დაუმტკიცდათ დანაშული უამრავ სხვა საქმეზე, მათ უვადო პატიმრობა არ აცდებათ, მაგრამ, რაც შეეხება ჟვანიას საქმეს, მე მათი მისამართით ეჭვი არა მაქვს.

**— კითხვები გაქვთ და ეჭვები არა გაქვთ?**

— დიახ.

უმჯობესია დაველოდოთ გამოძიებას. თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდება, რომ არ გამართლდეს მოსახლეობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ ჟვანია მოკლულია სააკაშვილის მიერ ან მისი დავალებით. ან ხომ გესმით, როგორი იქნება თავად სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების ქცევა და რეაქცია. აი, ბრალდება, რომელსაც ამდენი წელია გვიყენებენ, საპნის ბუშტივით გასკდაო...

დარწმუნებული ვარ, ახალი ხელისუფლებაც დაინტერესებულია დადგინდეს სრული სიმართლე და ერთხელ და სამუდამოდ გაეცეს პასუხი კითხვებს. დაველოდოთ გამოძიების დასრულებას!

ესაუბრა
**თეა მოსია**

◎ შემთხვევა

# გამკაცრდეს სავიზო და საიმიგრაციო რეჟიმი!

## „ეროვნული ფრონტი“ „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი აღვირახსნილი ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ

**„ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი აღვირახსნილი ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის და იდეოლოგიის შედეგად დღეს საქართველოში წარმოჩენილია ე.წ. უცხოელ ინვესტორთა და ბიზნესმენთა თავხედური თავაშვებულობა, სრული განუკითხაობა და ქაოსი — იტყობინება „ეროვნული ფრონტის“ ფეისბუქის გვერდი. „ეროვნული ფრონტი“ ამის გამო 10 ნოემბერს საგანგებო აქციას მართავს.**

„მაშინ, როდესაც ქვეყნიდან გასულია 1.5 მილიონამდე საქართველოს მოქალაქე, მათ ადგილებს უვიზო რეჟიმის პირობებში იკავებენ: პაკისტანის, ინდოეთის, ერაყის და აფრიკის ქვეყნების მოქალაქეები, რომელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არც ქართული ენა იცის, არც საქართველოს ისტორიას იცნობს და ისინი უმოკლეს ვადებში იღებენ საქართველოს მოქალაქეობას, — აღნიშნულია „ეროვნული ფრონტის“ განცხადებაში, — შედეგად, შეიქმნა საფრთხე, როცა ეთნიკური ქართველები შეიძლება უმცირესობაში აღმოჩნდნენ და თავისივე სამშობლოში უცხოელთა მომსახურე ფენად იქცნენ, ისევე, როგორც ეს მოხდა სინგაპურში, სადაც ადგილობრივი ეთნოსი 10 პროცენტამდე შემცირდა.

ყოფილმა ხელისუფლებამ აზიის და აფრიკის 80 ქვეყანასთან შემოიღო უვიზო რეჟიმი, მათ შორის, ისეთ ქვეყნებთან, საიდანაც არსებობს ტერორიზმის და სხვადასხვა ვენერიული დაავადების გავრცელების საშიშროება. ერთ-ერთმა აზიელმა პირმა კი 26 ოქტომბერს ქართველ ახალგაზრდას ბასრი იარაღით 4 ჭრილობა მიაყენა, კერძოდ, **26 ოქტომბერს „ეროვნული ფრონტის“ რამდენიმე წევრი დავესწარით საფეხბურთო მატჩს თბილისის „დინამოსა“ და „ქუთაისის ტორპედოს“ შორის. შეხვედრა თბილისური გუნდის გამარჯვებით დასრულდა. გამარჯვების აღსანიშნავად, „ეროვნული ფრონტის“ წევრებმა გადავწყვიტეთ ლუდი გვეყიდა აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზირის გადაკვეთაზე, ძველი კინოსტუდიის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ერთ-ერთ დაწესებულებაში. ეს შემინული დაწესებულება, ერთი შეხედვით, ნამდვილად ჰგავდა ბარს, რადგან ქუჩის მხრიდან კარგად ჩანდა სავარძლებში მოკალათებული რამდენიმე, ჩვენი ვარაუდით, ირანელი, ან არაბი მოქალაქე, ჩილიმის აპარატურა, მაგიდები და რამდენიმე ქართველი „ქალბატონი“. „ეროვნული ფრონტის“ რამდენიმე წევრი შევედით დაწესებულებაში და ვიკითხეთ, თუ შეიძლებოდა იქ ლუდის დალევა. კითხვაზე არავინ გაგვცა პასუხი, რადგან აღმოჩნდა, რომ დაწესებულების მესვეურთაგან ქართული, ერთი გოგონას გარდა, არავინ იცოდა, რომელმაც, გარკვეული პაუზის შემდეგ გვიპასუხა, რომ ჩვენი ადგილი იქ არ იყო და იქ არაფერი გვესაქმებოდა. ამ დროს, დაწესებულების შუშაზე გარედან შევნიშნეთ წარწერები მხოლოდ არაბულ ენაზე და დავინტერესდით, თუ რატომ ჰქონდათ სარეკლამო წარწერები მხოლოდ არაბულ ენაზე, როცა კანონმდებლობით ყველა ბიზნესსუბიექტი ვალდებულია, იქონიოს ქართულ ენაზე შესრულებული წარწერები. ამ კითხვამ ააფორიაქა ქართულად მოსაუბრე გოგონაც, ხოლო ერთ-ერთმა იქ მყოფმა აზიელმა, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, გარკვეული ნივთიერების ზემოქმედებით გამოწვეული თრობის ქვეშ იმყოფებოდა, დაიწყო აგრესიული ჟესტიკულაციებით და ხელის კვრით თავისი უკმაყოფილების გამოხატვა. მიუხედავად ჩვენი მრავალჯერადი მოწოდებისა, რომ მოეხმოთ დაწესებულების ხელმძღვანელისთვის და განემარტათ, თუ რატომ ჰქონდათ მხოლოდ არაქართული სარეკლამო წარწერები და შეეწყვიტათ აგრესიული გამოხდომები, აზიელი ბიზნესმენი პირდაპირ შეტევაზე გადმოვიდა და შეეცადა ხელისკვრით გამოვეძევებინეთ დაწესებულებიდან, რის შემდეგაც „ეროვნული ფრონტის“ ორ წევრს კარებში ფეხი მოჰყვა. კარების გაღების და გათავისუფლების მცდელობისას ჩაიმტვრა დაწესებულების რამდენიმე შუშა. ამის შემდეგ, „ეროვნული ფრონტის“ წევრები უკვე ტერიტორიის დატოვებას ვაპირებდით, როცა აზიელი ბიზნესმენი გამოვარდა დაწესებულების გარეთ და ფიზიკური დაპირისპირება გააგრძელა უკვე ქუჩაში. როგორც ჩანს, მიხვდა რა, რომ ფიზიკურად არანაირი შანსი არ ჰქონდა, ამოიღო ბასრი იარაღი, სავარაუდოდ, დანა და „ეროვნული ფრონტის“ ორ წევრს რამდენჯერმე მოუქნია, მაგრამ მათ მოახერხეს მოქნეული ცივი იარაღის აცილება. ამის შემდეგ, თავდამსხმელმა ქუჩაში არსებული ერთ-ერთი ხის სკამი ისროლა, რომელიც დაეცა მიკროავტობუსის წინ სავალ გზაზე და ის ისევ განაგრძობდა დანის ქნევას. „ეროვნული ფრონტის“ ერთ-ერთი წევრი შეეცადა მის შებოჭვას, რა დროსაც აზიელმა მას მიაყენა 4 ჭრილობა ყელის, გულმკერდის, მუცლის და ხელის მიდამოებში. ამის შემდეგ, თვდამსხმელი თავის დაწესებულებაში შევარდა, ხოლო „ეროვნული ფრონტის“ წევრებმა დავტოვეთ შემთხვევის ადგილი.

1 ნოემბერს „ეროვნული ფრონტის“ დაჭრილმა წევრმა შეიტანა განცხადება მთავარ პროკურატურაში მის მიმართ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე სისხლის სამართლის აღძვრის მოთხოვნით. ამიტომ, ყველა, ვინც ეწინააღმდეგებით უცხოელი მოქალაქეების მასობრივ შემოსახლებას საქართველოში და ეთანხმებით სავიზო და საიმიგრაციო რეჟიმის გამკაცრების მოთხოვნას, მოგიწოდებთ, მონაწილეობა მიიღოთ 10 ნოემბრის მსვლელობაში, რომელიც დაიწყება ვაკის პარკიდან 14 საათზე“, — აცხადებენ ორგანიზატორები.

მათივე ინფორმაციით, მსვლელობის უმთავრესი მოთხოვნები იქნება — გამკაცრდეს სავიზო და საიმიგრაციო რეჟიმი; შეწყდეს უცხოელი მუშების შემოყვანა; გამკაცრდეს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურები; დაცულ იქნეს ქართული ენის უფლებები; შეწყდეს ქართული მიწაწყლის გასხვისება; შეწყდეს რელიგიური ორგანიზაციების უცხოეთიდან დაფინანსება; აიკრძალოს რელიგიური და ეროვნული გრძნობების და ფასეულობების შეურაცხყოფა; დაპატიმრებულ იქნეს აზიელი მოქალაქე, რომელმაც 26 ოქტომბერს ხელი აღმართა ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლეზე!

**ნატა ნიბლაძე**

◎ ღია წერილი

# კანონი იურისტმა უნდა წეროს და არა მეწაღემ

## ბატონ ბიძინა ივანიშვილს

**მოძმედი სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ძირითადი კანონიდან, ანუ კონსტიტუციიდან დაწყებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დამთავრებული პირამიდის სახის ნორმატიული აქტების იერარქიული კონსტრუქცია. ამ იერარქიულ კონსტრუქციაში წამყვან ძალას წარმოადგენს ძირითადი კანონი, ანუ კონსტიტუცია, რომელსაც ყველა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს.**

ეს დებულება მსოფლიოში ცნობილი იურისტების მიერ და ცივილიზებული კაცობრიობის მიერ დღემდე აღიარებული შეუვალი პრინციპია. სწორედ ამიტომ, ცივილიზებულ ქვეყნებში სახელმწიფოს შენობის აგებას ან რეფორმას ძირითადი კანონის, ანუ კონსტიტუციის შემუშავებით ან გადამუშავებით იწყებენ. ამის შემდეგ გადადიან ძირითადი კანონის, ანუ კონსტიტუციის შესაბამისად კონსტიტუციური კანონების, შემდეგ ორგანული კანონების, ჩვეულებრივი კანონების შემუშავებაზე ან გადამუშავებაზე. ასე იქმნება კანონმდებლობა, ანუ ერთმანეთს დაქვემდებარებული კანონებისაგან შემდგარი იერარქიული ნორმატიული კონსტრუქცია, რომლის მწვერვალი არის ძირითადი კანონი, ანუ კონსტიტუცია.

ამასთან დაკავშირებით ისმის პრაქტიკული ხასიათის კითხვა: ვინ უნდა იყოს ასეთი კონსტრუქციის მშენებელი?

რამეთუ კონსტრუქციის მშენებლობა კონსტიტუციით უნდა დაიწყოს, მისი შემმუშავებელი ან გადამმუშავებელი, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციური სამართლის მცოდნე მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტი უნდა იყოს (საუბრობენ ე.წ. „კონსტიტუციონალისტებზე“, მაშინ, როდესაც ოქსფორდის და დასავლეთის უცხო ენათა ცნობილი ახსნა-განმარტებითი ლექსიკონების თანახმად: კონსიტუციონალისტი არის ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის მომხრე და სხვა არაფერი).

უფრო მეტი, უშუალო შემხებლობა კონსტიტუციის შემუშავებასთან ან გადამუშავებასთან სამართლის კერძო დარგების იურისტებსაც კი არ უნდა ჰქონდეთ, არათუ ცოდნის სხვა დარგის სპეციალისტებს. სამართლის კერძო დარგების იურისტები შეიძლება დროებით მოიწვიონ კონსტიტუციის შესაბამისი თავის თუ მუხლის ჩამოყალიბების თუ რედაქტირების დროს. ანალოგიური სქემით უნდა მიმდინარეობდეს კონსტიტუციური კანონების, ორგანული კანონების, ჩვეულებრივი კანონების შემუშავება ან გადამუშავება.

კონსტიტუციის შემუშავება-გადამუშავების შემდეგ კონსტიტუცია იქცევა შემდგომი საკანონმდებლო კონსტრუქციის ფუნდამენტად, რომელზედაც უნდა აიგოს მისი შესატყვისი კონსტიტუციური კანონები, შემდეგ ორგანული კანონები, შემდეგ ჩვეულებრივი კანონები და ა.შ. შემდგომი კანონების ფორმირებაში ერთობლივი მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მარტო სამართლის შესაბამისი დარგის მეცნიერმა და პრაქტიკოსმა იურისტებმა (განსაკუთრებით ადვოკატებმა), არამედ კონსტიტუციური სამართლის მცოდნე მეცნიერებმა და პრაქტიკოსმა იურისტებმაც, რადგან კონსტრუქციის ნაწილები ჰარმონიაში უნდა იყვნენ ერთმანეთთან და ყველა ისინი — კონსტიტუციასთან. საწინააღმდეგო შემთხვევაში სამართლის კერძო დარგებს შორის და მათი კონსტიტუციასთან დისჰარმონიის შემთხვევაში პრაქტიკულად სახელმწიფო ჩამოიშლება.

ამ დროს ჩვენთან რა ხდება? 23 წელია საკანონმდებლო და საზოგადოებრივ დონეზე, როგორც წესი, მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტების კვალიფიციური კორპუსის სისტემატური იგნორირება სწარმოებს და ასპარეზი ძირითადად პოლიტიკოსებს აქვთ დათმობილი, მაშინ როდესაც „პოლიტიკა აბინძურებს სამართალს“.

ბრჭყალებში მოყვანილი ეს ფრაზა სამართლის ფილოსოფიისა და საერთაშორისო სამართლის გიგანტს ჰანს კელზენს ეკუთვნის, ასეთად ის სამართლის ევროპულმა აკადემიამ 1999 წელს, მეცნიერისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე ცნო. ნიშანდობლივია, რომ მისი ერთ-ერთი ძირითადი ნაშრომის სათაურია: „სამართლის წმინდა თეორია“.

მეორეს მხრივ, გეკითხებით: ანდობთ კი თქვენ იურისტს მაგალითად ეკლესიის მშენებლობას ან პროდუქტის წარმოების დაგეგმვას? რა თქმა უნდა, არა! ფიგურალურად გეკითხებით: წაღი მეწაღემ უნდა კეროს, თუ იურისტმა? **კანონი მეწაღემ უნდა წეროს, თუ იურისტმა?** განა კანონის შემუშავება ან გადამუშავება ისტორიკოსს, პოლიტოლოგს, მით უმეტეს პოლიტიკოსს, ფიზიკოსს, გეოლოგს, ფილოსოფოსს, ქიმიკოსს, და ბოლოს მარკშეიდერს ვანდოთ?! ყელმოღერებულებმა ოდესმე ხომ უნდა დავძლიოთ სამართლებრივი კულტურის დეფიციტი? ბუმბერაზმა სოკრატემ ბრძანა: „მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი“. სხვა დარგებში განსწავლული ბევრი სპეციალისტი კი არსებითად სოკრატეს გმობს და ამტკიცებს, რომ „მე ის ვიცი, რომ ყველაფერი ვიცი“. მოდით, დღეიდან შევეცადოთ დავძლიოთ ეს ჩვენი „ბედნიერის ერის“ გაუკულმართებული აზროვნება.

მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტების გარდა, ხალხმრავალ შეხვედრებზე ძვირადღირებულ სასტუმროებში კანონის ავკარგიანობაზე გადაჭარბებული ამბიციით და მენტორის ტონით მობაასე თითქმის ყველა შემთხვევაში იურისპრუდენციაში შარლატანთა დოღია გამართული. აქა-იქ, თანაც იშვიათად, მეცნიერ თუ პრაქტიკოს იურისტებს თუ წააწყდებით.

ვშიშობ, რომ თავისი პოლიტიკური და ფინანსური ოცნების ასახდენად თქვენი უანგარო ქველმოქმედების ბოროტად გამოყენების მცდელობა კიდევ იქნება.

არადა, დღეს გზის გასაყარზე მდგარმა ქართველმა ერმა თავისი ბედი თქვენ განდოთ!

პირადად ჩემთვის და ერის ჭეშმარიტ ერთგულთათვის რამდენად დამამცირებელი არ უნდა იყოს: შეიცოდეთ ციყვივით წრიულ გალიაში დაუსრულებლად მორბენალი და გადაშენების პირას მყოფი ქართველი ხალხი, რამეთუ „დღეს სხვა გზა, სხვა ხსნა არ გამაჩნია“.

**„ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლად“.**

**ბიძინა სავანელი**

# აუდიტის სამსახურის დასკვნა

**აუდიტის სამსახურმა სკანდალური დასკვნა დადო. საელჩოებში, ბანკებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში დროებით გატანილი სამუზეუმო ექსპონატები უკვალოდ გაქრა. მუზეუმებს კი მათ დასაბრუნებლად არაფერი გაუკეთებიათ.**

მარტო საელჩოებს გატანილი აქვთ 69 ექსპონატი, რომლებიდანაც უმეტესობა აღარ ჩანს. ეროვნულ მუზეუმში დაცული ფონდების დაცვა-აღრიცხვის მდგომარეობის შესწავლის შემდეგ კი სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასეულობით ასეთი ექსპონატის დანაკლისი აღმოაჩინა.

ხელოვნებათმცოდნე **ბაია ამაშუკელი** აღნიშნავს, რომ გასარკვევია, ვისი ბრძანებით გაედინა ამდენი ფერწერული და სხვა სახის ექსპონატი საზღვარგარეთ?

მისი თქმით, ნაციონალების დროს კონტეინერებით სავსე გემი ბათუმიდან გავიდა და ნაციონალები ყოვლად დაუშვებლად ჩუქნიდნენ ამ ექსპონატებს ცალკეულ ადამიანებს. ამიტომ ბაია ამაშუკელი მოითხოვს, შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც დაადგენს ქართველი ერის კუთვნილი განძის ადგილმდებარეობას. მისი აზრით, ჩვენი ექსპონატების ბედის შემოწმება შესაძლებელია მუზეუმებში არსებული ძველი კატალოგების მიხედვითაც.

ხელოვნებათმცოდნე **გოგი ხოშტარია** აცხადებს, რომ, ვიწრო გაგებით, მას პირადად ეხებოდა ფიროსმანის ექსპონატების საკითხი, რომელიც თავის დროზე საზღვარგარეთ იყო გატანილი. თუმცა გოგი ხოშტარია ირწმუნება, რომ არც ერთი ორიგინალი არ არის დაკარგული. მეტიც, აბსოლუტური ტყუილია, თითქოს, ფიროსმანის ნამუშევრები შეცვლილია.

**„რაზეც ვაგებ პასუხს, იმას გეუბნებით. ეს ორიგინალები გაჰქონდათ არა ნაციონალებს, არამედ მუზეუმს, სადაც წესიერი სპეციალისტები მუშაობენ - არქეოლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, მუზეუმთმცოდნეები. ამიტომ, როცა ნაციონალებს ექსპონატების გატანას აბრალებენ, სინამდვილეში, ამით ქართველ სპეციალისტებს აყენებენ შეურაცხყოფას. მუზეუმს ჰყავს დირექტორი, საპატიო ადამიანი — დავით ლორთქიფანიძე. არც ერთ ნაციონალს არ ჰქონდა უფლება და ვერც გააკეთებდა, რომ ფიროსმანის ნამუშევარი ეჩუქებინა ვინმესთვის. ხელოვნების მუზეუმიდან სააკაშვილმა ერთხელ წაიღო და საკუთარ კაბინეტში ჩამოჰკიდა ფიროსმანის პანო — „გიორგობა ბოლნისში“ და ისიც უკან დააბრუნა, რადგან ერთი ამბავი ავტეხეთ. ამიტომ ფიროსმანის ჩუქება აბსოლუტური აბსურდია. არც ბაია ამაშუკელს, არც სხვას ამის შესახებ არავითარი კომპეტენცია არ აქვთ. რამდენადაც ვიცი, მათ გაჩუქებაზე არც აუდიტის სამსახური ამახვილებს ყურადღებას. უბრალოდ, აუდიტი ამბობს, რომ შენახვის წესების დაცვისას, აღრიცხვისას იყო გარკვეული უზუსტობები“,** — აღნიშნა გოგი ხოშტარიამ.

მისივე თქმით, არა მარტო ფიროსმანის ნამუშევრები დააბრუნეს, არამედ არქეოლოგიური მასალებიც, ვანის საგანძური, ოქრო და სხვა, რომელიც გატანილი იყო. ამდენად, გოგი ხოშტარიას გულუბრყვილობად მიაჩნია, თითქოს, ნაციონალები შედიოდნენ მუზეუმებში, გამოჰქონდათ ექსპონატები და ვინმეს ჩუქნიდნენ.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ალექსანდრე ცინცაძე** აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან ძვ.წ. აღ-ის მეხუთე საუკუნის ოქროს ყელსაბამის გატანა, თავისი კუს კულონებით, არაფრით არ შეიძლებოდა. თვით ის ფაქტი, რომ გარკვეული ხნის მანძილზე ამ ყელსაბამის 12 ოქროს ბურთულა დაიკარგა და ეს ექსპონატი არ ჩანდა, ნიშნავდა იმას, რომ რაღაც „განსაკუთრებული“ მოხდა. თუმცა, ხმაურის ატეხვის შემდეგ ყელსაბამი უკვე ინახება სახელმწიფო მუზეუმში და მასზე აღდგენილია თავდაპირველი ვარიანტი, ანუ 94 ოქროს ბურთულის ელემენტი უკვე დაცულია.

**„ნაციონალების პერიოდში როგორც კი ეს ინფორმაცია გავაჟღერე, მაშინვე თავს დამესხა „რეალ ტივი“ და ეროვნული მუზეუმის წარმომადგენლებმა თქვეს, ეს ბურთულები ჩვენ შენახული გვაქვს, უბრალოდ, დაიჩხვლიტაო. თუმცა, როგორ იჩხვლიტება ყელსაბამის ოქროს ბურთულები მუზეუმში, სრულიად გაუგებარია. იქ უამრავი ოქროს ბურთულაა და, შესაძლოა, სრულიად სხვა ბურთულებიდან აღადგინეს ეს ყელსაბამი. თუ რამდენი ელემენტი უნდა ყოფილიყო მასზე, ეს მათემატიკური სტატისტიკითა და ალბათობის თეორიის გამოყენებით გავშიფრეთ. ეს უკავშირდება იოანე ზოსიმეს ხელნაწერის გაშიფვრას და წინარე ქრისტიანული პერიოდის ინფორმაციას. ამის შემდეგ დავუკავშირდით მუზეუმს და მათ აღიარეს ეს შეცდომა და თავდაპირველი სურათი აღადგინეს“,** — აღნიშნა ალექსანდრე ცინცაძემ For.ge-სთან საუბრისას.

მისივე თქმით, აღნიშნული ექსპონატი ასტრონომიულ ინფორმაციას ატარებს და მზის ამოსვლის წერტილის გადახრილ კუთხეს უკავშირდება. თვითონ ექსპონატი მზის ქართული კალენდრის ელემენტების რაოდენობის შემცველია და ადასტურებდა, რომ მზის ქართული კალენდარი არსებობდა. გარდა ამისა, ამ პერიოდისთვის უნდა არსებულიყო, ასევე, ქართული ანბანი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ყელსაბამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა. მისი თქმით, აღნიშნული სამკაული შეიცავს 31 კუს კულონს. აქედან 30 პატარა კუს წარმოადგენს, ერთი — დიდს, რაც მზის კალენდარში ყოველთვიური დღეების რაოდენობას ემთხვევა.

**„როცა ვნახე სურათი ინტერნეტსაიტებზე, სადაც მხოლოდ 82 ოქროს ბურთულა იყო, მაშინვე ჩავთვალე, რომ ელემენტების რაოდენობა მანამდე დაიკარგა, სანამ ამ ყელსაბამს ვანის არქეოლოგიური გათხრებისას მოიძიებდნენ. თუმცა აღმოჩნდა, რომ თავის დროზე, როცა ოთარ ლორთქიფანიძემ ვანში მოიპოვა ეს ყელსაბამი, მას ზუსტად იმ რაოდენობის ელემენტი ჰქონდა, რამდენიც უნდა ჰქონოდა. ამიტომ მუზეუმში მისი შენახვის დროს დაიკარგა 12 ელემენტი და მუზეუმმა აღიარა ეს შეცდომა“.**

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კონსერვატორი **გიორგი მარსაგიშვილი** აცხადებს, რომ მათი მუზეუმი აერთიანებს რამდენიმე დაწესებულებას და პრეზიდენტის ბრძანებაში, თავის დროზე, მეტად არასწორი ჩანაწერი გაკეთდა, რომლის მიხედვითაც, გაერთიანდა ექსპონატების ფონდები

და გადაიქცა ეროვნულ მუზეუმად. ამიტომ როცა მათთან გენერალური მუზეუმის დირექტორის ბრძანება მიდიოდა, მუზეუმის თანამშრომლები იძულებულნი იყვნენ, მას დამორჩილებოდნენ.

**„ეს არასწორად მიმაჩნია, მაგრამ, თუკი ასეთი პრინციპით მივუდგებით, უკანონობას ისევ ცუდი კანონი სჯობს. როცა ექსპონატი გადის მუზეუმიდან, ჩვენ ყოველთვის ვწერთ — „გატანილია დროებით“ და ვადას ვუთითებთ, თუ როდის უნდა დაბრუნდეს. თუკი ექსპონატი არ ბრუნდება, შემდეგ ეს ვადა გრძელდება, მაგრამ არა — უსასრულოდ. მაგალითად, როცა საგანძური იყო გატანილი, მუზეუმმა აღარ გაუგრძელა ვადა და ამის წინააღმდეგ წავიდა. ამიტომაც საგანძური მოიხსნა მათი ექსპოზიციიდან“,** — გვითხრა გიორგი მარსაგიშვილმა.

აქვე არ გამორიცხა, რომ, შესაძლოა, ექსპონატები უცხოეთიდან დაბრუნებული არც არის, მაგრამ ძირითადად ამის მიმწოდებელი იყო გალერეა. სულ 18 მუზეუმია გაერთიანებული ეროვნულ მუზეუმში და ეს ერთიანი სისტემაა. ამიტომ, მისი აზრით, ამ შემთხვევაში, პასუხი მოეთხოვება პრეზიდენტის იმ ბრძანებას, სადაც, ფაქტობრივად, გაუქმებულია ყველა მუზეუმის უფლება და ეს უფლებები ჩამოყალიბებულია ერთ ძირითადად სტრუქტურაში.

**„ჯანაშიას მუზეუმის ფონდებში რა ხდებოდა, შენება არ გვაქვს, მაგრამ, თუკი ეჭვები გაჩნდება, ეს უნდა გამოიძიონ და პროკურატურა და ინტერპოლი უნდა ჩაერთოს მის ძიებაში. ხოლო, თუ ექსპონატი შეცვალეს, ამას რესტავრატორები თავისუფლად დაადგენენ“,** — აღნიშნა გიორგი მარსაგიშვილმა. მან ვერ დაგვიკონკრეტა, მთლიანობაში, რამდენი ექსპონატი გაიტანეს საქართველოდან, რადგან ეს ექსპონატები გალერეიდან გადიოდა და მათ ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ. თუმცა, დაადასტურა, უცხოეთში ექსპონატების გატანის პროცესში აუცილებლად ჩართული იყო კულტურის სამინისტროც.

* * *

**და ბოლოს, გთავაზობთ აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილი დარღვევების არასრულ ჩამონათვალს:**

### საელჩოებისთვის გადაცემული ექსპონატები

**აუდიტის სამსახურმა დაადგინა, რომ ამერიკაში საქართველოს საელჩოში გატანილია: ფერწერა — 10; გრაფიკა - 20; გობელენი — 3; ჭედურობა — 13.**

**საქართველოს საელჩო ირანში: ფერწერა — 4; გრაფიკა — 6.**

**საელჩო თურქეთში: ფერწერა — 2; გრაფიკა — 5;**

**მათი უმრავლესობა უკვალოდ არის გამქრალი.**

**მუზეუმში აუდიტორების გამოჩენის შემდეგ საქართველოს საელჩომ სომხეთში 2006 წელს გატანილი 11 ნახატი უკან დააბრუნა. 6 ფერწერული ტილო კი არ იძებნება.**

### რუსეთსა და სომხეთში დაკარგული ექსპონატები

**1991 წელს ეროვნულ გალერეაში გაჩენილმა ხანძარმა ექსპონატებთან ერთად დოკუმენტაციაც გაანადგურა. შესაბამისად, სრულყოფილი ინფორმაცია ხანძრამდე სხვადასხვა ორგანიზაციებზე დროებით გადაცემული ექსპონატების შესახებ გალერეის თანამშრომლებს არ გააჩნიათ. შემორჩენილი ინფორმაცია კი ასეთია:**

**1979 წელს შალვა ამირანაშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმიდან ი. აივაზოვსკის (1817-1900) ნამუშევარი „ბაირონის ჩასვლა წმ. ლაზარეს კუნძულზე“ ერევანში გამოფენაზე გაიგზავნა. სომხეთიდან აივაზოვსკის სხვა სურათი „პეიზაჟი“ დაბრუნდა, რომელსაც თან ახლდა წერილობითი თხოვნა სურათების გაცვლის შესახებ. ხელოვნების მუზეუმის ხელმძღვანელობამ გაცვლაზე უარი თქვა და სომხეთის მხარეს ნამუშევრის დაბრუნების ვადა სამი წლით გაუგრძელა. აღნიშნული ვადა კარგა ხანია გავიდა, სურათი კი ჯერ არ დაბრუნებულა. ნამუშევრის დასაბრუნებლად ქართულ მხარეს არანაირი ღონისძიება არ განუხორციელებია. სომხეთის მიერ გამოგზავნილი სურათი კი ამ დრომდე ინახება მუზეუმში ისე, რომ საინვენტარო დავთარში რეგისტრირებულიც კი არ არის.**

**არაერთი ფერწერული ნამუშევარი მათივე ავტორების წყალობით დაიკარგა. მხატვრებს თითქოსდა გამოფენების მოსაწყობად დროებით გაჰქონდათ ტილოები, რომლებსაც უკან აღარ აბრუნებდნენ.**

### „ექსიმბანკში“ გამქრალი ექსპონატები

**1994 წელს თურქულ „ექსიმბანკს“ ბანკის შენობაში ქართველ მხატვართა ნამუშევრების დროებით გამოფენის მოწყობის მიზნით 27 ექსპონატი გადაეცა: 10 ფერწერული, 7 გრაფიკული, 5 ჭედურობა და 5 გობელენი. ხუთივე გობელენი და სამი ფერწერული ტილო 1999 წელს დაბრუნდა გალერეაში, 7 ფერწერული ტილო, 7 გრაფიკული და 5 ჭედურობა უკვალოდ გაქრა. აღსანიშნავია, რომ მათ მოსაძებნად მუზეუმს არაფერი გაუკეთებია.**

**ამავე ბანკისთვის 1994 წელს დროებით გადაცემული 19 ნამუშევრიდან 15 ექსპონატი „ვითიბი ბანკმა“ დააბრუნა. 4 ექსპონატის ბედი კი გაურკვეველია.**

ფონდების მცველების განმარტებით, რომლებმაც დროებით სარგებლობაში გადაცემული ექსპონატების ადგილზე შემოწმება ევალებოდათ, ბანკის დაცვა მათ შენობაში შესვლის უფლებას არ აძლევდა.

**1998 წელს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს 10 ფერწერული ტილო ჩაბარდა, უკან არც ერთი არ დაბრუნებულა.**

**1995 წელს 18 ფერწერული ტილო ჩაბარდა პროკურატურის საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს, აქედან 14 ექსპონატი აუდიტის პერიოდში დაბრუნდა, სამი კი დაკარგულია.**

**1999 წელს კინემატოგრაფისტთა კავშირს გადაცემული აქვს 10 ნამუშევარი, რაც უკან არ დაბრუნებულა.**

როგორც გაირკვა, მუზეუმებში დაცული ექსპონატების და კოლექციების ინვენტარიზაცია ათწლეულების მანძილზე არ ტარდებოდა.

**1960 -2007 წლებში ინვენტარიზაცია 96 ფონდში ჩატარდა, რის შედეგადაც 866 ერთეულის დანაკლისი აღმოჩნდა. 2007-2012 წლებში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად კი ვერ მოიძებნა 274 ექსპონატი.**

აუდიტის სამსახურის მტკიცებით, 1966 წლიდან მუზეუმების ფონდების სრულყოფილი აღწერა არ მომხდარა.

**მარიამ ლოლაშვილი**

◎ ალიან-ჩალიანი

## პრობაციონერები ტაძარს აშენებენ

**შიდა ქართლის** პრობაციის ბიუროს ორგანიზებით, პირობით მსჯავრდებულებმა კონფლიქტის ზონაში მდებარე სოფელ დვანში, წმინდა ნიფონტის სახელობის ეკლესიის სამშენებლო სამუშაოებში მიიღეს მონაწილეობა.

პრობაციის ბიუროს ინფორმაციით, 15 პრობაციონერი და მათი ოფიცერი, მშენებლებს ხარაჩოების გამართვასა და კედლების ამოშენებაში დაეხმარა.

ბორჯომელმა პრობაციონერებმა კი, მშობლიურ ქალაქში მდებარე ღვთისმშობლის სახელობის მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირებთან ერთად, კელიების მშენებლობაში მიიღეს მონაწილეობა. პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომლობის ფარგლებში, პირობით მსჯავრდებულები ხშირად მონაწილეობენ ეკლესია-მონასტრების მშენებლობასა და რესტავრაციაში, რაც მათ სულიერი ფასეულობების დახვეწასა და რესოციალიზაციაში ეხმარება.

ინტერპრესი

# დრო, დრო აღნიშნა... ანუ მუდამ ის იყო რაც არის...

## მივესალმებით 70 წლის ვილენ მარდალეიშვილს

შედარება ხან ყველაზე ზუსტად გამოხატავს სათქმელს, ამიტომ შედარებისთვის წარმოვიდგინოთ, რომ მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე წამიერად წაიშალა ყველაფერი, რაც ამ ხნის მანძილზე დაწერილა და დაბეჭდილა, გამოცემულა, და მემატიანეს ხელთ შერჩა მხოლოდ ერთადერთი წიგნი — **„რაცა ვარ, ეგა ვარ“...** რომლის მიხედვითაც უნდა აღადგინოს თითქმის მთელი ოთხი ათეული წელიწადი საქართველოს უახლესი ისტორიიდან. მერედა, შეძლებს ის ამას ამ ერთადერთი წიგნის მიხედვით? ამ წიგნისა და ამ წიგნის ავტორის მთელი ღირსებაც სწორედ ის არის, რომ გონებასხარტი და თვალმახვილი მემატიანე უთუოდ სრულად აღადგენს საქართველოს ისტორიის ორმოცწლიანი მონაკვეთის არა მარტო სოციალურ-პოლიტიკურ, არამედ, რაც მთავარია, უტყუარ სულიერ პორტრეტს, რაც ჭეშმარიტი, პირუთვნელი ჟურნალისტიკის უპირველესი ამოცანა და უმთავრესი დანიშნულებაა.

„რაცა ვარ, ეგა ვარ“ ამას თვითონ ჩვენი უახლესი ისტორიის ეს მონაკვეთი ამბობს ავტორის პირით, რომელსაც მთელი თავისი ორმოცი წლის ნაკალმარი ერთ გარეკანში მოუქცევია როგორც თავისი დროის, როგორც უკვე ითქვა, უტყუარი სურათი. ეს ავტორი ჩვენი მეგობარი, აწ უკვე შეიძლება ამის თქმა, ჟურნალისტიკაში ჭიპმოჭრილი **ვილენ მარდალეიშვილია,** რომელმაც დღეს თავისი ცხოვრების მეშვიდე ათეული დაასრულა და მერვე ათეულში შეაღო არცთუ მოლად იოლად შესაღები კარი.

იმედია, ძვირფასო ვილენ, იგივე დარჩები, რაც ხარ და მომავალ დროსაც ისევე ოსტატურად მოაქცევ შენს მახვილ კალმის წვერზე, როგორც ამას აქამდე ესოდენ ნიჭიერად ახერხებდი.

სულითა და გულით გისურვებთ, ჩვენო როხროხა და ბუსუნა ძმაო, რომ ქართული სიტყვის ჭაჭანურით შეზარხოშებულ ხანდაზმულ ოსტატს ღმერთმა კალამი არ დაგიბეროს.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

## უკან მიხედვა — უშიშრად...

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“, შეიძლება ითქვას, ძმურად მოეფერა ვილენ მარდალეიშვილს და გამოსცა მისი მოგონებების კრებული **„უფლის საჩუქარი“,** რომელშიც ავტორი ციცქნა შვილიშვილს ანანოს ფიქრებში ესაუბრება თავისი განვლილი გზის შესახებ. ამ გზის გაცნობა კი, დარწმუნებული ვართ, დაგაინტერესებთ, ძვირფასო მკითხველო!

## არავის ჰგავხარ!

**შენ ეული ხარ,**
**არავის ჰგავხარ,**
**ეს არც ფარსია**
**და არც მისტიკა,**
**შენ გამორჩეულ**
**ვარსკვლავად ჰყავხარ,**
**ჩვენი თაობის**
**ჟურნალისტიკას!**

**გურამ გომართელი**

## გილოცავ, მეიმედები!

**ვილენის სამოცდაათმა**
**რადგან დაიწყო სხვა ათვლა,**
**განსხვავებული სასმისით**
**ამიტომ ვამბობ ძმა მისი:**
**— დე, უკვდავებამ გიშვილოს,**
**შენ მართლა მართალიშვილო!**

**ალექსანდრე შენგელია**
08:11.2013.



## ქართული კულტურის ქომაგი

**ვილენ მარდალეიშვილთან** დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. იგი არაჩვეულებრივი პიროვნებაა, მაღალნიჭიერებასთან ერთად ღმერთმა იშვიათი ადამიანური თვისებებით დააჯილდოვა, სიკეთე და სიმართლე მისი ცხოვრების თანამგზავრია.

ბევრი, ძალიან ბევრი საქმე გააკეთა ვილენმა თავისი ქვეყნისთვის. იგი ქართული კულტურის ნამდვილი ქომაგია და ერთგულად დგას მის სადარაჯოზე.

ბატონი ვილენი, მართლაც, ღირსეული მამულიშვილია, არა ერთი წიგნისა და შესანიშნავი სტატიების ავტორი, გარდა ამისა, იგი პიროვნული ხიბლითაც გამოირჩევა, სიკეთით სავსე კაცია, დიდი პატრიოტი, ერთგული მეგობარი, იშვიათი მომლხენი, კარგი თამადა, უყვარს ქართული სიმღერა, არის მისი საუკეთესო შემფასებელი, ამიტომაც ბატონ ვილენს დიდი სამეგობრო ჰყავს, ყველას უხარია მის გვერდით დგომა, მასთან ურთიერთობა. პირადად მე მეამაყება, რომ ვარ მისი მეგობარი.

**ანზორ ერქომაიშვილი.**

## იგი თითქოს ცალკე კუნძული იყო...

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სტუდენტებს ხშირად ამა თუ იმ გაზეთის მიმოხილვას გვავალებდნენ. მახსოვს, ერთხელ საკურსო თემად გაზეთ „კომუნისტის“ მიმოხილვა დამევალა, სადაც, მე თუ მკითხავთ, ქართული ჟურნალისტიკის „რევოლუციონერი“ ვილენ მარდალეიშვილი „აღმოვაჩინე“. მის წერილებში ვერსად შეხვდებოდით საყოველთაოდ მიღებულ „ჩვენს“, იმ პერიოდისთვის გასაკვირი სითამამით „მე მივედი“, „მე ვკითხე“, „მე მითხრაო“, წერდა. მისი მასალები საოცარი ინტიმით გამოირჩეოდა. იმდენ კარგ ჟურნალისტში ვილენ მარდალეიშვილი თითქოს ცალკე კუნძული იყო — აბსოლუტურად განსხვავებული, უბრალო, ახლობელი... ასეთად დარჩა დღემდე... ბედნიერი კაცია — ემსახურება ეროვნულ კულტურასა და თითქოს მკერდზე აწერია ტრიადა — „საქართველო, ქართველი, ქართული“.**

მწიგნობარია, მაგრამ განსწავლულობით წერილებს არ ამძიმებს, ლამაზ წერის ხელოვნებას ფლობს, მაგრამ ყოველგვარი რიტორიკისა და დიდაქტიკის გარეშე საუბრობს. ისეთი უშუალო და ხალხურია, არ შეიძლება მისმა წერილებმა სიამოვნება არ მოგგვაროს, კარგ ხასიათზე არ დაგაყენოს.

ბატონო ვილენ, დაბადების 70 წლის იუბილეს გილოცავთ. მკითხველს უყვარხართ — კვლავაც ასე ყოფილიყოს. ამაზე მეტი, აბა, რა გისურვო!

**მზია გელენავა.**

## ◎ ალიან-ჩალიანი

### მაია ფანჯიკიძე საფრანგეთის ევროპულ საკითხთა მინისტრს შეხვდა

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით , შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა ვილნიუსის სამიტი და მასთან დაკავშირებული საკითხები იყო.

შეხვედრაზე კიდევ ერთხელ აღინიშნა საფრანგეთის მხარდაჭერა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მიმართ.

მინისტრებმა ისაუბრეს საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე. ფრანგული მხარის მიერ აღინიშნა არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების მნიშვნელობა. მაია ფანჯიკიძემ კი საფრანგეთის ხელისუფლებას მადლობა გადაუხადა არჩევნებში დამკვირვებლების გამოგზავნის გამო.

### თეა წულუკიანი და ირაკლი ალასანია თანამდებობებს შეინარჩუნებენ

— ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა. მოქმედი შს მინისტრისა და მომავალი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, ძირეული გადაადგილებები მთავრობაში არ იგეგმება. „მთავარი ცვლილებები არის, რომ ჩვენ გვეყოლება ახალი მთავარი პროკურორი და ჩემი შემცვლელი“, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილი არ აკონკრეტებს, დაიკავებს თუ არა შს მინისტრის თანამდებობას მისი რომელიმე მოადგილე.

### ჯარიმებმა და საპროცესო შეთანხმებებმა 55 მილიონამდე გაზარდა ბიუჯეტი

9 თვის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმეებზე დაკისრებული ჯარიმების, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის, გირაოსა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული თანხების მთლიანი ოდენობა 54 722 173 ლარს შეადგენს. როგორც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სტატიაშია აღნიშნული, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გადარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია კვლავ ხელმიუწვდომელი რჩება.

— როგორც მიღებული დოკუმენტაციიდან ირკვევა 2013 წლის 9 თვის განმავლობაში (1 იანვარი — 25 სექტემბერი) სისხლის სამართლის საქმეებზე დაკისრებული ჯარიმების, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის, გირაოსა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული თანხების მთლიანი ოდენობა შეადგენს 54 722 173 ლარს. რაც შეეხება უშუალოდ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გადარიცხული თანხების ოდენობას, მოწოდებულ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიურო არ აწარმოებს განცალკევებით ამ მონაცემების აღრიცხვას, — ნათქვამია სტატიაში.

ამასთან, IDFI გასული წლების მონაცემებსაც აქვეყნებს და აღნიშნავს, რომ საპროცესო შეთანხმების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ საპროცესო შეთანხმების შედეგად ბიუჯეტში 2009 წელს 8 040 392.81 ლარი, 2010 წელს 42 361 459.28 ლარი, 2011 წელს 51 009 723.78 ლარი, 2012 წელს კი 38 627 586.89 ლარი გადაირიცხა.

### საშემოდგომო ვაქცინაცია „თურქულის“ წინააღმდეგ

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ „თურქულის“ საწინააღმდეგო საშემოდგომო ვაქცინაცია დაიწყო. აცრა ჩაუტარდება მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსან პირუტყვს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ამასთან, მიმდინარეობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის იდენტიფიკაცია-ნიშანდება. სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები ასევე აგრძელებენ ჯილეხისა და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციას. მაღალი რისკის ზონებში ჯილეხზე აცრა ჩაუტარდება 200 ათასამდე მსხვილფეხა, წვრილფეხა რქოსან პირუტყვსა და ცხენს; რაც შეეხება ცოფს, ცოფის საწინააღმდეგო კვირეულის ფარგლებში აიცრა 60 ათასზე მეტი ძაღლი და კატა, მაგრამ სააგენტოს ინფორმაციით, ეპიზოოტიური სიტუაციიდან გამომდინარე, პროფილაქტიკური ღონისძიებები კვლავ გრძელდება.

**ინტერპრესი**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი საქართველოს პასპორტებს გასცემს

**იმისთვის, რომ მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, ნებისმიერმა უცხოელმა საკმარისია წარადგინოს მხოლოდ პიროვნების მოწმობა. ასეთია საქართველოს მიმავალი ლიდერის მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი ინიციატივა.**

პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა დოკუმენტების სია, რაც აუცილებელია განცხადების შესატანად: სრულწლოვანი უცხოელისთვის საკმარისია თან ჰქონდეს მხოლოდ თავისი ქვეყნის პასპორტი და მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი. ამის შემდეგ სახელმწიფოს მეთაური განიხილავს და ხელს მოაწერს განცხადებას მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში. ამავე დროს თავად პრეზიდენტი მსურველებს აჩქარებს — მისი უფლებამოსილების დამთავრებამდე ხომ ერთ კვირაზე ოდნავ მეტი დარჩა.

საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა თავისი სურვილი, გასცეს საქართველოს პასპორტები, განმარტა ზრუნვით ქვეყნის ეკონომიკისთვის. მისი სიტყვებით, მათ შორის, ვისაც სურს, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, არიან „ბიზნესმენები, რომლებიც უკვე დიდი ხანია მუშაობენ საქართველოში. ქვეყნის მოქალაქეების ამპლუაში ისინი იმუშავებენ უფრო აქტიურად და დააბანდებენ მეტ ინვესტიციებს“.

სააკაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ადრე განცხადებათა ნაკადი მოქალაქეობაზე შემოდიოდა იუსტიციის სამინისტროში, საც ბევრი, გაურკვეველი მიზეზებით, უარს ღებულობდა. ახლა მან გადაწყვიტა ინიციატივა თავის ხელში აიღოს.

### ლიბერალის უკანასკნელი ნაბიჯი

**გადაწყვეტილების მიღებამდე, მიანიჭოს მოქალაქეობა ყველა მსურველს, საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება მოქალაქეობის უფლებათა მინიჭების შესახებ ქართული წარმომავლობის თურქეთის 2 ათას მცხოვრებისთვის.**

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გადმოგვცემენ, რომ პრეზიდენტის რეზიდენციაში, სადაც ხდება კიდეც დოკუმენტების მიღება მოქალაქეობაზე, უკვე გრძელი რიგებია. მსურველთა შორის არიან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის, საქართველოს უახლოესი მეზობლები — სომხეთისა და აზარბაიჯანის მცხოვრებლები. ასევე ბევრია მსურველები შუა აზიიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან.

ამ დროს საქართველოს ხელისუფლება — პრემიერ ბიძინა ივანიშვილის გუნდის წარმომადგენლები — პირიქით, შეშფოთებული არიან უცხოელი მოქალაქეების ნაკადით, რომლებიც საქართველოში ჩადიან. მალე საქართველოს პარლამენტს განზრახული აქვს განიხილოს კანონპროექტი ქვეყნის სავიზო კანონმდებლობის გამკაცრების შესახებ.

**„ჩვენთან უკიდურესად ლიბერალურია სავიზო რეჟიმი. მსოფლიოს 118 ქვეყნის მოქალაქეს შეეძლო ეცხოვრა საქართველოში უვიზოდ 360 დღე. ბევრ სხვას შეეძლო მიეღო ვიზა პირდაპირ აეროპორტში. ეს წესი შეიცვლება“,** — განაცხადა ქვეყნის იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ბარამიძემ.

პრეზიდენტის არჩევნები საქართველოში 27 ოქტომბერს გაიმართა. არჩევნებში მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა გიორგი მარგველაშვილმა გაიმარჯვა, რომელმაც ხმების 62 პროცენტზე მეტი შეაგროვა. მისი ინაუგურაცია 17 ნოემბრისთვისაა დანიშნული.

BBC RUSSIAN.com

# საით მივყავართ „ქართულ ოცნებას“?

**ამერიკის შეერთებული შტატების ექსპერტები საქართველოს არჩევნების შესახებ: „უდავო ნაბიჯი დემოკრატიისკენ“**

**იმის შეფასებაში, თუ როგორ მიმდინარეობდა პრეზიდენტის არჩევნები საქართველოში, და როგორ მოახდენს ამ არჩევნების შედეგი გავლენას ქვეყნის მომავალზე, ამერიკელი ანალიტიკოსები ოპტიმიზმს გამოთქვამენ, მაგრამ ქართველ ხალხს ურჩევენ, არ შეჩერდნენ მიღწეულზე. ვაშინგტონში გაისმის არჩევნების ასეთი დახასიათებანი: „სუფთა და მშვიდად ჩავლილი“, „საერთაშორისო პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისი“.**

ამავე დროს ახალ პრეზიდენტს აძლევენ „პოლიტიკურად შედარებით გამოუცდელი მეცნიერის“ დახასიათებას და სვამენ შეკითხვას, როგორ მოიქცევა „ძველი ელიტა“, რომელსაც ძველებურად აქვს გავლენა და რომელმაც დიდი ამბიციები გამოავლინა წარსულში.

ყოველივე ამის შესახებ მიმდინარეობდა საუბარი ვაშინგტონის ენანის ინსტიტუტში, რომელიც თავის მუშაობაში კონცენტრაციას აკეთებს სიტუაციების კვლევებზე პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი ბელარუსსა და საქართველოში კენეტ იალოვიტცი, რომელიც თვალყურს ადევნებდა უკანასკნელი პერიოდის ყველა ქართულ არჩევნებს, აღნიშნავს, რომ პოლიტიკა საქართველოში ბოლო წლის განმავლობაში არჩევნების წინ იყო „უკიდურესად პოლარიზებული“, რამაც ხელი არ შეუშალა გამართულ არჩევნებს ყოფილიყო „უკიდურესად პოზიტიური“.

ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის ევრაზიის რეგიონალური დირექტორი ლორა ჯუიტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „არჩევნების დღე შეესაბამებოდა საერთაშორისო პრინციპებსა და სტანდარტებს“, ქართულმა ელექტორატმა კი „გამოავლინა თავისი რწმენა“.

**„იყო ზოგიერთი საჩივარი, მაგრამ არ ყოფილა არანაირი დიდი პროტესტი არჩევნების შედეგების წინააღმდეგ,** — ამბობს ჯუიტი, რომელიც ასევე იმყოფებოდა საქართველოში არჩევნების დროს. **— იყო ცალკეული დარღვევები, რომლებსაც შეიძლება საკმაოდ სერიოზული უწოდო, მაგრამ მათ არანაირი გავლენა არ მოუხდენიათ არჩევნების საერთო შედეგებზე“.**

ლორა ჯუიტი აღნიშნავს არსებით გაუმჯობესებას წინა არჩევნების დროიდან, ამავე დროს მიუთითებს, რომ ეს არის „ნაბიჯი დემოკრატიისკენ“, თუმცა ჯერ კიდევ ეს მისი გამარჯვება არ არის“.

ეს ქალბატონი, კერძოდ, გამოთქვამს შეშფოთებას იმის გამო, რომ პოლიტიკური მოძრაობა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, რომლებმაც პრაქტიკულად მიიღეს სრული კონტროლი ხელისუფლებაში, ექნებათ თუ არა საკმარისი მოტივაცია იმისთვის, რომ ყურად იღონ პოლიტიკური ოპონენტების აზრი.

**„იქნება ცდუნება — გააკეთონ რაიმე უფრო სასწრაფო დღევანდელი დღისთვის, ვიდრე იზრუნონ ხანგრძლივი დემოკრატიული სისტემისა და პროცესის განვითარებითვის“,** — აღნიშნავს ჯუიტი.

კენეტი იალოვიტცი, თავის მხრივ, გამოთქვამს შეშფოთებას იმის გამო, თუ რა როლს შეასრულებენ პოლიტიკურ პროცესებსა და ქვეყნის ბედში ლიდერები, რომლებიც თეორიულად უნდა წავიდნენ პოლიტიკური სცენიდან.

როდესაც „ქართული ოცნების“ დამაარსებელზე ბიძინა ივანიშვილზე საუბრობდა, იალოვიტცმა დასვა საკითხი იმის შესახებ, შეძლებს თუ არა ეს „მდიდარი კაცი და გავლენიანი პოლიტიკოსი“, დროულად „წავიდეს სცენიდან და დაუტოვოს იგი ახალგაზრდა პოლიტიკოსებს“.

**„საქართველოს ჰქონდა ხელისუფლების გადაცემის მძიმე ისტორია მეტად ძლიერი ლიდერის ფარგლებში,** — ამბობს იალოვიტცი. — **საკითხია — გაგრძელდება თუ არა ეს ტრადიცია, თუ კურსი შეიცვლება“.**

კენეტ იალოვიტცს აგრეთვე აშფოთებს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბედი.

**„შესაძლებელია, იყოს ზემოქმედება ივანიშვილზე, რათა განახორციელონ სააკაშვილზე ისტორიული სამართლიანობის პროცესი“,** — მიაჩნია მას.

ექსპერტები ასევე მიიჩნევენ, რომ საქართველოს მოსახლეობა დაელოდება ახლადმოსული ხელმძღვანელობისგან იმის გაგებას, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყნის საშინაო ცხოვრების საკითხებს.

**„მთავარი რეფორმები, რომელთა აუცილებლობის შესახებაც ლაპარაკობენ ქართველები,** — ხაზგასმით აღნიშნავს ლორა ჯუიტი, — **ეს არის რეფორმები ჯანმრთელობის დაცვაში, სოფლის მეურნეობასა და განათლებაში. ხალხი მეტად შეშფოთებულია იმით, რომ მათთვის მეტად საყურადღებო საკითხები არ მოხვდება ახალი მთავრობის დღის წესრიგში... მოსახლეობის მხოლოდ 40 პროცენტი, უკანასკნელი გამოკითხვის თანახმად, ელოდება, რომ მათი პარლამენტარები რეალურად წარმოაჩენენ მათს ინტერესებს... მთავრობისთვის მნიშვნელოვანია გაიგოს, რომ იგი მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ხალხის საჭიროებას და სურვილებს“.**

Voice of America

## დედამიწის ზურგზე

**ობამამ განაცხადა, რომ არ აპირებდა ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის კლინტონზე შეცვლას**

**პრეზიდენტმა ბაიდენი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში „ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო ვიცე-პრეზიდენტად“ დაასახელა და განაცხადა, რომ ეს დანიშვნა — ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილებაა, რომელიც ოდესმე მიუღია. „მე რომ მკითხონ, ვიტყოდი, რომ ვერ ვხედავ შესაძლებლობას კენჭი ვიყარო ჯო ბაიდენის გარეშე“, — აღნიშნა ობამამ. მან ბოდიში მოიხადა თანამოქალაქეების წინაშე სამედიცინო დაზღვევის პრობლემასთან დაკავშირებით.**

* * *

**ყირიმში აშენებენ სასტუმროს ჭიანჭველებისთვის, ხოჭოებისა და ჩრჩილისთვის**

**„თავად იდეა ჩვენ გადმოვიღეთ გერმანიიდან და გადავწყვიტეთ ჩვენთანაც აგვეგო ასეთი რამ. სასტუმრო იქნება პატარა, ერთგვარი მორის ჩამონაჭერი დაახლოებით ორი მეტრი ორნახევარ მეტრზე, მაგრამ მწერები იქ იქნებიან მინის ქვეშ, და მათ შეიძლება ადევნო თვალყური“, — ისაუბრა ბუნების პარკის „ჩარივნა გავანის“ დირექტორმა ანატოლი რიკოვმა.**

* * *

**გაეროს უშიშროების საბჭოში განსაზღვრეს, ვის გადასცემენ სუდის არაბეთის მანდატი**

**დიპლომატიური წყაროების ცნობით, გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრის ადგილს, რაზეც უარი განაცხადა საუდის არაბეთმა „ორმაგი სტანდარტების“ პოლიტიკასთან უთანხმოებისა და ორგანოს უუნარობის გამო გადაწყვიტოს სირიისა და პალესტინა-ისრაელის საკითხები, დაიკავებს ახლო აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფო.**

* * *

**ფილიპინებს თამს დაატყდა ტაიფუნი, რომელიც, როგორც ელოდებიან, უნდა იყოს ყველაზე ძლიერი მეტეოთვალყურის დევნების ისტორიაში**

**სპეციალისტები ტაიფუნ „ჰაიანს“ სარეკორდო გრიგალებს — „კამილასა“ და „ალენს“ ადარებენ. „ჰაიანის“ ქარის ძალა იმ მომენტში, როდესაც ფილიპინების სანაპიროს მიაღწია, საათში 300 კილომეტრს აჭარბებდა. ქვეყნის ერთ-ერთ პროვინციაში ტაიფუნმა ზვავები გამოიწვია.**

# უცნობი პუტინი

**საძართველოს ხელისუფლებას ერთი სული ჰქონდა, მოქმედებაზე გადასულიყო. აპრილში ამერიკის ერთ-ერთი ოფიციალური წარმომადგენელი ესაუბრა ქართველ ძალოვანებს, ითქვა, რომ რუსები მოქმედებაზე გადასვლისთვის ემზადებიან, მიგვაჩნია, რომ მათ განზრახული აქვთ ჩვენს ქვეყანაში ჯარების შემოყვანა და მათ საზღვართან უყრიან თავს. ჩვენ ჩვენი წყაროები გვაქვს, ამიტომ მიგვაჩნია, რომ ჯობს, პირველებმა გადავდგათ ნაბიჯი, ვიდრე ველოდოთ, როდის შემოვლენ და დაიკავებენ ქვეყანას.**

**ამერიკელმა ოფიციალურმა პირმა უპასუხა: „ხომ გესმით, რომ ეს თვითმკველობაა!" ქართველებისგან კი ასეთი პასუხი მიიღო: „თუ ისინი მიჯნას გადმოვლენ, გვირჩევნია მოვკვდეთ, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები და ნამდვილი ქართველები!"**

**როგორ მოიქცნენ ეს „ჭეშმარიტი პატრიოტები და ნამდვილი ქართველები", ომის დღეებში მთელმა საქართველომ დაინახა. საზღვარზე რიგები დადგა და „კორუფციასთან მებრძოლი რაინდები" ნებისმიერ თანხას იხდიდნენ საქართველოს ტერიტორიის ურიგოდ დატოვებაში! მოგვიანებით კი 150 დაკარგულ ქართულ სოფელს მიხეილ სააკაშვილმა „ქვების გროვა" და „გამოუსადეგარი ადგილები" უწოდა! თუმცა, კვლავ ანგუს როკბოროს ნაამბობს მივუბრუნდეთ.**

2008 წლის მთელი გაზაფხულის განმავლობაში რუსეთი ამტკიცებდა, რომ საქართველო თავდასხმისთვის ემზადება, საქართველო კი პირიქით — რომ ამას რუსეთი აპირებს, მაგრამ სავარაუდო ცხელ წერტილად აფხაზეთი მიიჩნეოდა და არა სამხრეთი ოსეთი. რუსეთმა რეგიონში სამხედრო დამხმარე ძალა გააგზავნა, საქართველომ მის კონტროლქვეშ მყოფ კოდორის ხეობაში სამხედრო ძალის კონცენტრაცია მოახდინა. საქართველოს უპილოტო მზვერავი აპარატები რეგიონში რუსული ჯარის გადაადგილებას ადევნებდნენ თვალს. აფხაზები ამას სუვერენიტეტის დარღვევად აფასებდნენ, რუსმა ჯარისკაცებმა რამდენიმე აპარატი ჩამოაგდეს.

აპრილის ბოლოს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საქართველო აფხაზეთში სამხედრო შეჭრისთვის ემზადება. რუსეთმა საზოგადოებრიობას ამცნო, რომ „ყველა საშუალებით" დაიცავს საკუთარ მოქალაქეებს ორივე სადავო ტერიტორიაზე. მაისის დასაწყისში კონდოლიზა რაისმა შეშფოთება გამოხატა აფხაზეთში რუსი სამხედროების რაოდენობის ზრდის გამო, ხოლო ერთ კვირაში საქართველომ გამოაქვეყნა მზვერავი თვითმფრინავების მიერ გადაღებული ფოტოები, რომლებიც ადასტურებდა აფხაზეთში რუსული სამხედრო ძალის გადაადგილებას. მაისის ბოლოს რუსეთმა განაცხადა, რომ აფხაზეთში 400 უიარაღო ჯარისკაცს აგზავნის რკინიგზის შესაკეთებლად. ქართულმა მხარემ ეს შემოჭრისთვის მზადების მტკიცებულებად მიიჩნია და ქვეყნის ხელმძღვანელობამ დისკუსია დაიწყო იმაზე, ხომ არ ჯობს წინმსწრები დარტყმის განხორციელება.

იმჟამად საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **გიგა ბოკერია** აცხადებდა: **„მთავარი საკითხია, — რა მომენტში არ შეუძლია სუვერენულ სახელმწიფოს, არ მოახდინოს რეაგირება მაშინაც კი, თუ ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, აგრესია მასირებული იქნება თუ არა".**

თავდაცვის მინისტრის მოადგილე **ბათუ ძუთელია: „ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ საქართველოს შეუძლია მათი დაცვა და შეუძლია რეაგირება ქმედებებზე, რომლებიც ქართველი ხალხის შეშფოთებას იწვევს, რომ ქვეყანა ყველა რესურსს გამოიყენებს, რათა ამგვარი საფრთხე გაანადგუროს".**

პარლამენტის თავმჯდომარის **ნინო ბურჯანაძის** შეფასება უფრო ფრთხილი და თავშეკავებული იყო: **„პრეზიდენტის და ჩემს დარწმუნებას ცდილობდნენ, რომ რუსებს ჟანგიანი ტანკები ჰყავთ, ხოლო ჩვენ — ყველაზე თანამედროვე აღჭურვილობა და რომ საქართველო ერთ ღამეში დაამარცხებდა რუსეთს. თითქმის მთელ უშიშროების საბჭოს უნდა აფხაზეთში სამხედრო შეჭრა".**

რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვ. პუტინს ფრანგულმა გამოცემა Le Monde-მ კითხვა დაუსვა, თუ როგორ უყურებს აფხაზეთის პრობლემის მოგვარების სააკაშვილის მიერ შეთავაზებულ მშვიდობიან გეგმას მისთვის უპრეცედენტო ავტონომიის მინიჭების გზით და საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის აფხაზეთისთვის დათმობით.

**ვ. პუტინმა** უპასუხა: **„ძალიან დიდ იმედს ვამყარებ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ შეთავაზებული გეგმა თანდათან განხორციელდება, რადგან მთლიანობაში ეს გეგმა გონივრულად გამოიყურება".**

რამდენიმე დღის შემდეგ, 6 ივნისს სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილ დსთ-ს სამიტამდე, სააკაშვილისა და პრეზიდენტ მედვედევის პირველი შეხვედრა გაიმართა. ორივე პოზიტიურად იყო განწყობილი, თითქოს მზად იყვნენ, ურთიერთობა სუფთა ფურცლიდან დაეწყოთ.

**დ. მედვედევი:** — ვფიქრობ, შევძლებთ ყველა სირთულის დაძლევას და გადაწყვეტილებების მიღებას ხანგრძლივი ვადით. თქვენ როგორ მიგაჩნიათ?

**მ. სააკაშვილი:** — თანახმა ვარ, გადაულახავი პრობლემები არ არსებობს, მოუგვარებელი გვაქვს, მაგრამ გადაულახავი — არც ერთი.

მოგვიანებით, როცა ამ შეხვედრას იხსენებდა, სააკაშვილი ამბობდა: **„თავი სულ სხვაგვარად ეჭირა, ვიდრე პუტინს. იგი გახსნილი იყო და კეთილად განგაწყობდა**  **და საკუთარი თავის მიმართ"** (ასეთივე მოგონებები შემორჩა სააკაშვილს პუტინთან პირველი შეხვედრის შესახებაც). ქართულმა მხარემ იმედით მოისმინა დ. მედვედევის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ „მას ეს სიტუაცია მემკვიდრეობით ერგო და მისი ინიცირებული არ არის" და რომ იგი მზად არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებისთვის „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ჩარჩოში".

ეს იმას ნიშნავდა, რომ **რუსეთი არ იყო დაინტერესებული ამ ორი რეგიონის მიერთებით და მათ საძართველოს ნაწილად მიიჩნევდა.** სააკაშვილი აცხადებდა, რომ ეს შეხვედრა დაიმედებულმა დატოვა და მედვედევმა სოჭში შეხვედრა და „ვარიანტების განხილვა შესთავაზა". თუმცა, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა შენიშნა, მას არაფერი უთქვამს იმაზე, რომ, რუსეთის თვალსაზრისით, პროგრესის აუცილებელ პირობას საქართველოს მიერ ძალის გამოუყენებლობის დოკუმენტზე ხელის მოწერა წარმოადგენდა. მედვედევის დიპლომატიურმა მრჩეველმა სერგეი პრიხოდკომ ინტერვიუში განაცხადა: „საკვანძო მომენტი იყო წინადადება — ძალის გამოუყენებლობაზე ერთობლივი დოკუმენტის შედგენა. ადგილიც დასახელდა, სადაც ეს უნდა მომხდარიყო — სოჭი. ჩემი აზრით, სააკაშვილმა ეს წინადადება პოზიტიურად მიიღო".

თუმცა, ძალის გამოუყენებლობის საკითხმა შემდგომ რამდენიმე თვეში ურთიერთობა გაართულა. სააკაშვილის სიტყვით, რუსულ მხარეს უნდოდა, საქართველოს ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელი აფხაზებთან და ოსებთან მოეწერა, ხოლო თავად რუსეთი გარანტის როლში მდგარიყო. სააკაშვილისთვის ეს იგივე იყო, რომ „მელიისთვის" საქათმე ჩაებარებინა". იგი ძალის გამოუყენებლობაზე მხოლოდ რუსეთთან ხელმოწერაზე იყო თანახმა. რუსულ მხარეს კი მიაჩნდა: „რაში გვჭირდება ეს დოკუმენტი? ჩვენ იქ ჯარი არ გვყავს, იქ მხოლოდ ჩვენი მშვიდობისმყოფელები არიან".

**ივნისის შუა რიცხვებში მხარეებმა** კონფიდენციალური **წერილები გაცვალეს. სააკაშვილმა მედვედევს რამდენიმე წინადადება გაუგზავნა, რომელიც მას სასარგებლოდ მიაჩნდა აფხაზეთში დაძაბულობის განსამუხტად, მაგრამ მისმა წერილმა, რომელიც მედვედევის პასუხმა, ფუნდამენტური წინააღმდეგობანი წარმოაჩინა.** სააკაშვილმა შესთავაზა საქართველოს სიახლოვიდან მშვიდობისმყოფელების გაყვანა და გალსა და ოჩამჩირეში დევნილების დაბრუნება, სადაც ერთობლივი ქართულ-აფხაზური მმართველობა იყო გათვალისწინებული.

მხოლოდ ამის შემდეგ (სააკაშვილის გათვლებით, დეკემბერში) შესაძლებელი იქნებოდა ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტის ხელმოწერა, როცა აფხაზეთის დანარჩენ ტერიტორიაზე ქართველი დევნილები დაბრუნდებოდნენ. თავის მოსაქონად ს

◎ მხატვრული ტანვარჯიში

# სამი „ვერცხლი“ და ორი „ბრინჯაო“

**საქართველოს ორი მხატვრული ტანმოვარჯიშე მონაწილეობდა ლუქსემბურგის საერთაშორისო ტურნირში. ჩვენებურებმა ხუთი მედალი დაიმსახურეს.** განსაკუთრებით სალომე ურუშაძემ (მწვრთნელი ინგა კიკვაძე) იყოჩაღა: წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ახალგაზრდებს შორის მრავალჭიდში 38,0 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. პირველი იყო მარტინა პოპლინსკი (ისრაელი, 41.650 ), 36.550 ქულით „ბრინჯაო“ ვალერია ვინაჰრადავას (ბელარუსი) ერგო. მრავალჭიდის გარდა, გამარჯვებულები და პრიზიორები ცალკეული საგნებით ვარჯიშშიც გამოვლინდნენ: **ბურთი.** 1. მარტინა პოპლინსკი (14,72), 2. სალომე ურუშაძე (13,40), 3. ვალერია ვინაჰრადავა (12,85); **გურზები.** 1. პოპლინსკი (12,85), 2. ურუშაძე (12,65), 3. ვინაჰრადავა (12,60). **რგოლი.** 1. პოპლინსკი (14,75), 2. ანასტასია ტიხონოვა (რუსეთი, 13,90), 3. ურუშაძე (12,00).

უფროს ასაკში თამარ ჭანტურიძემ მრავალჭიდში 47.500 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა, ხოლო გურზებით ბრინჯაოს მედალი (13,35) მოიპოვა. სლოვენიელი სპელა კრატოხვილი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ოთხჯერ ავიდა.

**ლაშა დიდია**

◎ რაგბი

# „ბორჯღალოსანთა“ კანადური გამოცდა

**დღეს „დინამო არენაზე“ საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები 16.30 საათიდან კანადის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ამ ტესტმატჩს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენებურთა საერთაშორისო რეიტინგისთვის. ორთაბრძოლის მოგების შემთხვევაში „ბორჯღალოსნები“ აქტივში 1,2 ქულას ჩაიწერენ, 15-ზე მეტი ქულით გამარჯვების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 1,8 ქულამდე გაიზრდება, თუმცა, ყოველივე ეს რეიტინგში მხოლოდ მე-16 ადგილის შენარჩუნებაში დაგვეხმარება. ფრე 0,2 ქულას მოგვიტანს, 15 და მეტი ქულით წაგება 1,2 ქულას წაგვართმევს და ამ შემთხვევაში ჩვენი სარეიტინგო ადგილი რუმინეთისა და ტონგას ნაკრებების შეხვედრის შედეგზე იქნება დამოკიდებული.**

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა ის 23 მორაგბე დაასახელა, რომლებიც 9 ნოემბერს კანადელთა წინააღმდეგ ითამაშებენ. ესენი არიან: 15. მერაბ კვირიკაშვილი (“ვიენი“, საფრანგეთი), 14. ირაკლი მაჩხანელი („არმაზი“, თბილისი, კაპ.), 13. დავით კაჭარავა („ენისეი“ რუსეთი), 12. მერაბ შარიქაძე („ბურგ-ან-ბრესი“, საფრანგეთი), 11. თამაზ მჭედლიძე („ბურგ-ან-ბრესი“, საფრანგეთი), 10. ლაშა ხმალაძე („ლელო“, თბილისი), 9. გიორგი ბეგაძე („ყოჩები“, ბოლნისი); 1. მიხეილ ნარიაშვილი (“მონპელიე“, საფრანგეთი), 2. შალვა მამუკაშვილი („არმია“, თბილისი), 3. დავით ქუბრიაშვილი („სტად ფრანსე“, საფრანგეთი), 4. კონსტანტინე მიქაუტაძე („ტულონი“, საფრანგეთი), 5. ლევან დათუნაშვილი („ორიაკი“, საფრანგეთი), 6. ვიქტორ კოლელიშვილი („ლიონი“, საფრანგეთი), 7. მამუკა გორგოძე („მონპელიე“, საფრანგეთი), 8. გიორგი ჩხაიძე („ტარბი“, საფრანგეთი). სათადარიგოები: 16. სიმონ მაისურაძე („ანიერი“, საფრანგეთი), 17. დავით ხინჩიგაშვილი („სინგ მეტრო“, საფრანგეთი), 18. ლევან ჩილაჩავა („ულონი“, საფრანგეთი), 19. შალვა სუთიაშვილი („ასი“, საფრანგეთი), 20. გიორგი თხილაიშვილი („არმია“, თბილისი), 21. ვაჟა ხუციშვილი („რები“, რუსთავი“, 22. თედო ზიბზიბაძე („ერიგო“, საფრანგეთი), 23. ბექა წიკლაური („ლოკომოტივი“, თბილისი).

**ლექსო ცინცაძე**

◎ ფეხბურთი

# ქართველები ევროპის ლიგაზე

**ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპის IV ტურში რამდენიმე ქართველმა ითამაშა. „დნიპრომ“ 2:0 სძლია პორტუგალიის „პასუშ ფერეირას“ და მეთექვსმეტედფინალის საგზური გაინაღდა. ჯაბა კანკავამ შეუცვლელად ითამაშა და აქტიურიც გახლდათ: ორჯერ სცადა შო-**



**რიდან გატანა და ერთხელ ააცილა, ერთხელ კი მცველს მოხვდა. იგი ბოლო წუთზე გააფრთხილეს. სანდრო კობახიძე განაცხადში არ გახლდათ.**

ყაზანის „რუბინმა“ შინ 1:0 მოუგო „უიგანს“ თუმცა საბა კვირკველიას არ უთამაშია. „რუბინმა“ ასევე გაინაღდა ჯგუფიდან გასვლა.

კვლავ უგოლოდ დარჩა ლადო დვალიშვილის „ლეგია“ რომელმაც შინ 0:2 წააგო „ტრაბზონსფორთან“ და 4 წაგება აქვს. დვალიშვილმა შეუცვლელად ითამაშა.

გია გრიგალავას „ანჟიმ“ გასვლაზე ბოლო წუთზე გაუტანა ნორვეგიულ „ტრომსოს“ და 1:0 იმარჯვა. გრიგალავამ კარგი მატჩი ჩაატარა, მარცხნივ აქტიური იყო. ქართველმა გაფრთხილებაც მიიღო. „ანჟი“ თავის ჯგუფში მეორე ადგილზეა და თითქმის გასულია, რადგან 5 ქულით უსწრებს მესამეზე მყოფ „შერიფს“, რომელმაც ლონდონში „ტოტენჰემთან“ 1:2 წააგო.

**გიორგი შოთაძე**

◎ ავტოსპორტი

# რაიკონენს მოკლებაზიანი „ლოტუსი“ ურჩევნია

**კიმი რაიკონენს გადაწყვეტილი აქვს, სეზონის დარჩენილ ორ რბოლაში მოკლებაზიანი „ლოტუსით“ იასპარეზოს. ეს გადაწყვეტილება მან პირველად აბუ დაბიში მიიღო, სადაც იღბალმა ზურგი აქცია. იყო მომენტი, როცა დაიმუქრა, ტრასაზე არ გამოვალ, თუ ხელფასს არ გადამისდითო. მერე სტიუარდებმა მის მანქანაზე რეგლამენტთან შეუსაბამო დეტალი აღმოაჩინეს და სტარტზე პელოტონის კუდში გაამწესეს. ბოლოს კი, სტარტიდან პირველივე მოსახვევში ინციდენტი შეემთხვა და რბოლა აღარც გაუგრძელებია.**

და მაინც, ფინელი პრაქტიკებზე დარწმუნდა, რომ მოკლებაზიანი მანქანა უკეთ შეესაბამება მის სტილს. ამის დასტურად, აბუ დაბის დიდი პრიზის კვალიფიკაციაზე, მეხუთე დრო აჩვენა, რაც გერმანული ეტაპის შემდეგ, მისი საუკეთესო საკვალიფიკაციო შედეგია. „ლოტუსის“ შეფ ერიკ ბუიესაც ისღა დარჩენია, კიმის მოთხოვნა დააკმაყოფილოს. ბუიე თვლის, რომ რაიკონენი მალე მიეჩვეოდა გრძელბაზიან შასის და ეს მის შედეგებზეც აისახებოდა, მაგრამ რადგან ასე არჩია, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვსო.

აბუ დაბიში რაიკონენმა განაცხადა, რომ მის მიერ მოკლებაზიანი შასის არჩევა ტრასის მახასიათებლების გამო არ მომხდარა და რომ ამ ვერსიას დარჩენილ ტრასებზეც ამჯობინებს. ასეც რომ არ იყოს, შასის ხშირი ცვლაც არასასურველია, რადგან ეს ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. ამიტომ, რაც ავირჩიე, იმას ბოლომდე გამოვიყენებო.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ ინტერნეტიდან

# შვედ ქალებს ისევ შვედები აფასებენ

**შვედურ ჟურნალ „ბენგოს“ თუ დავუჯერებთ, ჩვენს ცაფირუზმელეთოვან პლანეტაზე ყველაზე ლამაზი ქალი ქომაგები არა რუსეთის, უკრაინის ანდა პოლონეთის ეროვნულ გუნდებს, არამედ საკუთრივ შვედებს ჰყოლიათ. შვედი ქომაგი ქალებისადმი მიძღვნილი სტატია სხვადასხვა ევროპელი მიმომხილველის განხილვის საგანი გახდა.**

შვედი ჟურნალისტი უტიფრად აცხადებს, რომ სლავი ქალების შესახებ მათი სილამაზის მითი, რბილად რომ ვთქვათ, გაზვიადებულია და მისი აზრით, რეალურად სილამაზით სკანდინავიელ ასულებს არავინ სჯობს.

თავისი ამ უცნაური თეორიის დასტურად ჟურნალისტი სხვადასხვა დიდ საფეხბურთო ტურნირებს იშველიებს, სადაც, მისი თქმით, „აშკარაა“, რომ შვედი ქომაგი ქალები სხვათაგან გამოირჩევიან. გამორჩეულობა რომ საუკეთესოობას არ ნიშნავს - ეს წესით კი უნდა იცოდეს, მაგრამ ჩვენ რას ვიზამთ...

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ დედაქალაქი

# რით შეიცვლება თბილისის „ყვითელა“ ავტობუსები?

**თებერვლის დროზე დედაქალაქში დიდი ზარ-ზეიმით შემოყვანილი ყვითელი სამგზავრო ავტობუსების პარკი დღესდღეობით იმდენად ამორტიზებულია, რომ, მძღოლთა განცხადებებით, ყოველი მეორე მანქანა კვირაში ერთხელ მაინც ფუჭდება და შეკეთებას საჭიროებს. იმაზე, რომ თბილისელებსა და ქალაქის სტუმრებს ახალი კომფორტული ავტობუსებით გადაადგილების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, ცხადია, არავინ დავობს, თუმცა კი ავტობუსების პარკის განახლებასთან დაკავშირებით მერიასა და საკრებულოს განსხვავებული პოზიციები უკავიათ, რაც პროექტის განხორციელების საფასურს უკავშირდება. მერიას დაჩემებული აქვს ავტობუსების პარკის განახლებაზე ქალაქის ბიუჯეტიდან 60 მილიონი ლარი დახარჯოს, საკრებულოს უმრავლესობა კი ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობს, რაც უზარმაზარი თანხის დაზოგვის შესაძლებლობას მისცემს, მაგრამ მერია, რომ იტყვიან, „ვირზეა შემჯდარი“. ამის თაობაზე თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარეს ზაზა გაბუნიას ვესაუბრეთ.**

– საზოგადოებრივი ტრანსპორტი თანამედროვე და კომფორტული რომ უნდა იყოს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მთავარი ისაა, რომ ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელი ფირმის ავტობუსების შეძენას აპირებს მერია, თუმცა კი გარიგების ღირებულება უკვე ვიცით, – თქვა ბატონმა ზაზა გაბუნიამ. – საკრებულოს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის დელეგაციის წევრებმა ცოტა ხნით წინათ ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში ვიზიტად ყოფნისას კონტაქტი დავამყარეთ სატრანსპორტო დარგის მსოფლიოში ცნობილ კონცერთან, რომლის წარმომადგენლებთან საუბარში გაირკვა, რომ მათ თბილისისთვის განსხვავებული ტიპის, მაღალი ხარისხის მეტად კომფორტული ავტობუსების მოწოდების შემოთავაზება აქვთ, რაც დედაქალაქის ბიუჯეტს ძალიან დიდი თანხის **(დაახლოებით 40 მილიონი ლარის – ო. ტ.)** დაზოგვის შესაძლებლობას მისცემს.

ამასთან, ბატონმა ზაზა გაბუნიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო ტენდერი აღნიშნულ შესყიდვაზე ჯერჯერობით გამოცხადებული არ არის, ამდენად მოლაპარაკებები სამგზავრო ავტობუსების შეძენაზე შეიძლება იმ კომპანიებთან გაიმართოს, რომლებიც მასში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ. შესაბამისად, გადაწყვეტილება ტენდერის შედეგების მიხედვით უნდა იყოს მიღებული. აქედან გამომდინარე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სატენდერო კომისიის შემადგენლობას, სათანადო პროცედურებს, რაც მოსამზადებელი კონკურსის ჩატარებას გულისხმობს, რომლისთვისაც, თავის მხრივ, გარკვეული პირობებია მოსაფიქრებელი, სანამ კონკრეტულ კომპანიასთან მოლაპარაკება დაიწყება და ა. შ.

– თუმცა, ვიდრე ამ საკითხებამდე მივალთ, მანამდე 60 მილიონი ლარის ღირებულების ტენდერი უკვე გამოცხადებული იქნება, რაც, ჩემი აზრით, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია, – აღნიშნა ფრაქციის თავმჯდომარემ. – საქმე ისაა, რომ 60 მილიონი ლარი თავისთავად დიდი თანხაა, მით უმეტეს წლის მიწურულისთვის, ამდენად, როცა მისი დიდი ნაწილის დაზოგვის პერსპექტივა არსებობს, მოსახლეობის დაკვეთით ამ ფულის გაცილებით აქტუალური, მწვავე პრობლემების ნაწილობრივ მაინც გადაჭრა დედაქალაქს უფრო მეტად წაადგება. თუმცა, პირადად ჩემი აზრით, **თბილისის მერს გიგი უგულავას სურვილიც აქვს მსხვილ ფინანსურ ოპერაციაში საკუთარი თუ პარტიული მიზნებისთვის გარკვეული ხეირი ნახოს. ამის თქმის საფუძველს ის გარემოება მაძლევს, რომ ბოლო წლებში თბილისში თითქმის არცერთი დიდი ტენდერი არ ჩატარებულა, რომლის მიმართ საზოგადოების მხრიდან სავსებით სამართლიანი და ლეგიტიმური პრეტენზიები არ იყოს. ტენდერები, ფაქტობრივად, მხოლოდ ფორმალურად ტარდებოდა, ყველაფერი წინასწარვე ცნობილი და გამარჯვებულის ვინაობაც შეთანხმებული იყო.** გიგი უგულავას ასეთი ტენდერების ჩატარების „დიდი გამოცდილება“ აქვს, ამდენად, არ გამოვრიცხავ, რომ, როცა საქმე ასეთ დიდ თანხას ეხება, აქაც ასეთივე სცენარი განხორციელდეს, რა ეჭვსაც მისი გაჯიუტება მიძლიერებს – არავის მოგისმენთ, როგორც სწორედ მიმაჩნია, ისე გავაკეთებო. აქედან გამომდინარე, თბილისის საკრებულოში მოვლენათა განვითარებას დავაკვირდებით, რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული ევროპული კონცერნის შეთავაზებას უყურადღებოდ არ დავტოვებთ და საკითხზე მუშაობას განვაგრძობთ საიმისოდ, რომ თბილისის მერიამ ჩვენი პოზიცია გაიზიაროს, ვინაიდან ტენდერს ის აცხადებს და საბიუჯეტო სახსრებსაც თავადვე განკარგავს. ვნახოთ, როგორი იქნება მათი შემოთავაზება, მაგრამ, **ვფიქრობ, რომ მაინც შევძლებთ იმის მიღწევას, რომ დედაქალაქში ახალი ავტობუსების შესაძენად მაინცდამაინც 60 მილიონი ლარი არ დაიხარჯოს.**

კითხვაზე, თუ რა ბერკეტები გააჩნია საკრებულოს ამ შემთხვევაში მერიაზე ზეგავლენის განსახორციელებლად, ბატონმა ზაზა გაბუნიამ აღნიშნა, რომ სწორედ იმის გამო, რომ საკრებულოს მასზე ზეგავლენის არანაირი ბერკეტები არა აქვს, ამიტომაც გამოდის იგი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივით, თუმცა კი ვიდრე ისინი განხორციელდება, აღნიშნული ტენდერი შესაძლოა ჩატარდეს.

– ამიტომაც ვაპირებთ მერიას ტენდერის სრული გამჭვირვალეების თაობაზე წინადადებით მივმართოთ, რაზეც, ვფიქრობ, უარს ვერ გვეტყვიან – სატენდერო კომისია დაკომპლექტდეს არა მხოლოდ მერიის დაახლოებული პირებისგან, არამედ მასში საკრებულოს წევრები, ამ საკითხით დაინტერესებული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები, ჟურნალისტები შევიდნენ. ეს 60 მილიონი ლარი არც მერიის, არც, მით უმეტეს, გიგი უგულავას არ ეკუთვნის, ეს ფული ყველა მოქალაქის საერთო საკუთრებაა, ამიტომაც მისი ყირადათიანად დახარჯვა ყველას ინტერესებში შედის. ჩვენი ყველაზე მძლავრი ბერკეტიც ეს გახლავთ.

ლოთარ ტურაბელიძე

◎ ფრაზები

# სხვათაგან თქმული

## მიუსაფარი აზრების სტრიპტიზი

● ძალიან სასარგებლოა საკუთარი ტვინის სხვათა ტვინებზე ალესვა.

● კაცები მტრედებივით არიან: ერთხელ ხელიდან თუ გაუშვი, მერე რამდენიც გინდა უსტვინე...

● ჯენტლმენს ყოველთვის ხელში უჭირავს თავისი თავი, მაშინაც კი, როცა ფეხზე ძლივს დგას.

● უმიზეზო სიცილი, რისამე ნიშანი კი არა, დიაგნოზია.

● განშორების ხანგრძლივობა სიყვარულს განამტკიცებს, მაგრამ კარადის კარებს არყევს.

● მამაკაცის ასაკი განისაზღვრება იმ სისულელეთა ერთობლიობით, რომელთაც ის ქალის გულისთვის სჩადის.

● გავარსკვლავების დაავადება ზოგს ძალიან ძვირი უჯდება.

● ადამიანი რა ხასიათისაც არის, ცხოვრებაც ისეთი აქვს.

● ცოლი შეირთე მოხერხებული ცხოვრებისთვის, ხოლო გიყვარდეს სიამოვნებისთვის.

● ცუდი ჰავა რუსეთს კონსტიტუციას უცვლის.

● ახალგაზრდებმა ქორწინებამდე ოთხ-ოთხი თვალი უნდა გამოიბან, ხოლო ქორწინების შემდეგ ოთხივე თვალი ნახევრად დახუჭული უნდა იქონიონ.

● ქალს მუდამ უნდა უთხრა, რომ ის ისეთივეა, როგორიც სხვები არიან, თუკი გინდა, რომ იმისგან იგივე მიიღო, რასაც სხვებისგან იღებ.

● ოპოზიცია ხალხისთვის იმის დაპირების ხელოვნებაა, რის მიცემაც მთავრობას არ შეუძლია.

● ფული და ჯანმრთელობა იმით ჰგვანან ერთმანეთს, რომ ორივეზე მაშინ ვფიქრობთ, როცა არც ერთი გვაქვს და არც მეორე.

● ყველა ადამიანს ხანგრძლივი სიცოცხლე სურს, მაგრამ სიბერე არავის არ უნდა.

● ჭკუა თუ არა გაქვს, ვაის თავიდან აცილება ნაღდია.

● ზოგიერთებს თავი გააქვთ, მაგრამ მთელი ცხოვრება მუხლებზე დგანან.

● შურს ერთი კარგი თვისება აქვს – კარგს ხელად ამჩნევს.

● აღზრდილი სინდისი უფროსის საქმეებში არ ეჩრება.

● პარტიის რიგების სიწმინდისთვის ბრძოლა ყველაზე ბინძური საქმეა.

● გაუფრთხილდით საკუთარ ავტორიტეტს: ისარგებლეთ სხვისით...

● თუ ყველგან ეშმაკთან გაგზავნიან, დროა, ღმერთს მიმართო.

● ჭკუის ქონა იმის საშუალებას გაძლევს, რომ ბევრ რამეზე არ იფიქრო.

გაასტრიპტიზა
**გურამ წიკლაურმა**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**299-62-77; 599 32-85-76.**

◎ მომავლის დიეტა

# ტარაკნების რაგუ

**გაეროს ექსპერტები დედამიწის მოსახლეობას საკვებად... მწერების მოხმარების რჩევას აძლევენ.**

სპეციალისტების პროგნოზით, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის სრულიად უცხო – მიუღებელიც კი! – ხოჭოების წვნიანი, ტარაკნებისა და კალიების რაგუ, შეცხობილი ფუტკრები, ჩაროზად კი დაშაქრული მორიელები ჩვეულებრივ საკვებად იქცევა! მეტიც: მეცნიერები ამ რაციონზე გადასვლის რჩევას მარტო დაბეჯითებით კი არ იძლევიან, არამედ ეგზოტიკური საჭმელების ცნობილი რეცეპტების გულდასმით შესწავლის გარდა, ახლებსაც ბეჯითად ამუშავებენ.

ეს რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული, რომელთა შორის მთავარი ისაა, რომ დედამიწის მოსახლეობა ძალიან სწრაფად იზრდება, საკვების უკმარისობის გამო მასზე ფასები გამუდმებით მატულობს. მრავალი სასურსათო პროდუქტი კი, მათ შორის, უწინარესად, ხორცი, უახლოეს მომავალში შეიძლება ძვირადღირებული დელიკატესი გახდეს. ამიტომაც საჭიროა სხვადასხვა საკვების ბარაქიანი და იაფიანი შემცველების გამონახვა.

გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის (FAO) **მონაცემებით, დედამიწის 7-მილიარდიანი მოსახლეობიდან ორი მილიარდი პერმანენტულად შიმშილობს.** 2030 წლისთვის კი მოსახლეობა ცხრა მილიარდამდე გაიზრდება. ამდენად, საკვები ყველას რომ ეყოს, მისი ტრადიციული სახეობები არასაკმარისი იქნება, რაც გლობალურ შიმშილობას გამოიწვევს. ამიტომ სპეციალისტების დასკვნა ასეთია: **შიმშილობის თავიდან ასაცილებლად კაცობრიობამ მწერების ჭამა უნდა დაიწყოს.**

– დედამიწაზე უთვალავი მწერია, ისინი ძალიან გემრიელი და მარგებელი არიან, რადგან ორგანიზმისთვის საჭირო ცილებისა და მინერალების წყაროს წარმოადგენენ. ბევრი მწერი სასარგებლო ცხიმის მჟავებს, კალციუმს, რკინასა და ცინკს შეიცავს, რომლებსაც ჩვეული სურსათი ნაკლებად შეიცავს, – აცხადებენ გაეროს ექსპერტები.

კერძოდ, სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ **ონკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკისთვის მეტად სასარგებლოა რკინით მდიდარი ტერმიტები, ხოლო ფუტკრები მამაკაცის პოტენციას ამაღლებენ.** ამასთან, გურმანები იმასაც ამტკიცებენ, რომ მწერები საჭმელადაც გემრიელია: ჭიანჭველებს ლორის გემო აქვთ, მუხლუხოებს – ყველის, ჭრიჭინელებს – დაფქვილი ნიგვზის.

სხვათა შორის, „მომავლის დიეტა“ დღესდღეობით დედამიწის მოსახლეობის მესამედ ნაწილში, მსოფლიოს 88 ქვეყანაშია გავრცელებული. თუმცა, ისიც კია, რომ ზოგიერთ რეგიონში მწერებს გაჭირვების ჟამს მიირთმევენ, ზოგან კი ისინი დელიკატესად ითვლება. მწერებს, ძირითადად, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სოფლის მოსახლეობა ეტანება, თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ტაილანდში, კალიებსა და ხოჭოებს, ჭრიჭინებსა და მათ კვერცხებს ქალაქის მცხოვრებნიც მადიანად შეექცევიან. აფრიკის სამხრეთში კი მუხლუხოების ზოგიერთი სახეობიდან დამზადებული საჭმელი ექსკლუზიურად ითვლება და საკმაოდ ძვირიც ღირს.

FAO-ს მონაცემებით, მწერთა რამდენიმე მილიონი სახეობიდან ადამიანები დაახლოებით ორ ათასს ჭამენ. ეს „დელიკატესები“ ადვილად მრავლდებიან, თანაც თავად საკვების მინიმალური რაოდენობით კმაყოფილდებიან. მწერები სასათბურე გაზებს არ გამოყოფენ, ხოლო ამიაკს უმნიშვნელო ოდენობით გამოაფრქვევენ.

ექსპერტები წინასწარმეტყველებენ, რომ ოცი წლის შემდეგ მწერები კაცობრიობის „მინი-საქონელი“ გახდება და ადამიანები მათი აურაცხელი ჯოგების მოშენებას მიჰყოფენ ხელს. სადღეისო მონაცემებით, **დედამიწაზე მფრინავი, მცურავი და მცოცავი ექვსფეხების მთლიანი მასა 30-40-ჯერ აღემატება მთელი მოსახლეობის საერთო წონას: თითო ადამიანზე მწერთა ბიომასის 200 კილოგრამი მოდის.**

– ჯერჯერობით მწერთა მოშენებას საოჯახო მეურნეობებში მისდევენ, მაგრამ, პოტენციურად, ამან შესაძლოა სამრეწველო სახე მიიღოს, – აცხადებს FAO-ს ექსპერტი პატრიკ დერსტი.

მაგრამ, საკითხავია, რამდენად მოეწონება ეს საკვები, ვთქვათ, ევროპისა და ამერიკის მოსახლეობას? შევძლებთ კი ჩვენ გარკვეული ზიზღის დაძლევას?

– ცხადია, რომ ხოჭოების ველურებივით ხრამუნს არ დავიწყებთ, – ამბობს FAO-ს დიეტოლოგი ურსულა ჰეინი, – თავდაპირველად მწერების ხორცთან ინგრედიენტების სახით შერევა შეიძლება, ვთქვათ, 70 პროცენტი ხორცი და 30 პროცენტი მწერი, მაგალითად, კალია. მწერებს კი ჯერ დანაყული სახით გამოვიყენებთ.

◎ ჩვენი კარაბადინი

# უძილობის ოთხი თანაშემწე

**დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ დაძინება განსაკუთრებით ძნელია. ჩვენ კი კიდევ ვნერგავთ ზოგიერთ წეს-ჩვეულებას, რომლებიც ხელს უშლიან ნორმალურ ძილს.**

**ამიტომ, სანამ აბებს წაავლებდეთ ხელს, შეამოწმეთ, ხომ არ შეიძლება დაეხმაროთ ორგანიზმს ბუნებრივი გზით. დაძინების პროცესს შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიონ:**

**1. ზედმეტმა შთაბეჭდილებებმა**

როდესაც საძინებელში შედიხართ, ეცადეთ გამოეთიშოთ გასული დღის პრობლემებს. ნურასოდეს გადააქცევთ საძინებელს სამუშაო კაბინეტად ან აქტიური დასვენების ოთახად. არ არის საჭირო, საწოლში წოლის დროს, თქვენს ნოუთბუქზე აკრიფოთ ხვალინდელი გამოსვლის ტექსტი ან ითამაშოთ კომპიუტერული თამაშები, უპასუხოთ სატელეფონო ზარებს. გახსოვდეთ: თქვენი საძინებელი ოთახი – მხოლოდ ძილისთვისაა.

ნუ მოაწყობთ საქმეების გარჩევას ოჯახის წევრებთან დაძინების წინ. ძილის წინ შეიძლება გაისეირნო ნებისმიერ ადამიანთან, ისაუბრო უმნიშვნელო რამეებზე. მძაფრსიუჟეტიანი ფილმები, ინტელექტუალური საუბრები, გადაცემები სათამაშო სიუჟეტებით, რომლებსაც საღამოობით გადმოსცემენ, უმჯობესია გამოვთიშოთ. ნახეთ ძველი კომედია, მოუსმინეთ მუსიკას, იკითხეთ კლასიკოსები, ბოლოს და ბოლოს.

**2. რეჟიმის არასტაბილურობამ**

ეცადეთ ყოველდღე დაწვეთ დასაძინებლად ერთსა და იმავე დროს, უმჯობესია შუაღამემდე. ტყუილად ხომ არ ამბობენ ხოლმე, რომ ერთი საათის ძილი 12 საათამდე მოდის ორზე მის შემდეგ. საქმე ისაა, რომ ჩვენი ბიოლოგიური საათები, რომლებიც განსაზღვრავენ უნარს დავიძინოთ და გავიღვიძოთ, შეესაბამება გარკვეულ რეჟიმს და ნებისმიერი მისი დარღვევა მტკივნეულად აისახება ჩვენს განწყობილებაზე. ნუ შეეცდებით შეამციროთ ძილის დრო, ღამის დასვენებისთვის თუ დრო არასაკმარისია, თავის კანტური მოგვიწევს დღის განმავლობაში. ჩვეულება გამოვიძინოთ, როგორც საჭიროა, უქმე დღეებში, ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ უძილობის თანაშემწეებს.

**3. მუფოთვარე კუჭმა**

საღამოს პერიოდში ერიდეთ ცხიმიან, მარილიან და სპეციებით განსაკუთრებით „გამდიდრებულ“ კერძებს: მათი გადამუშავება – კუჭ-ნაწლავთა ტრაქტისთვის ძნელი ამოცანაა, რაც აუცილებლად აისახება ძილის ხარისხზეც. უმჯობესია დაძინებამდე რამდენიმე საათით ადრე მიიღოთ მსუბუქი საკვები – ხაჭო, რძის ფაფა, მოხარშული ბოსტნეული, თევზი, ძილის წინ კი, თუ შიმშილი შეგაწუხებთ, დალიოთ ერთი ჭიქა კეფირი ან რძე.

არ არის სასარგებლო ძილის წინ არც ალკოჰოლური სასმელები, მაგარი ჩაი, ყავა.

**4. სიცივემ და სიცხემ**

ადრე მიაჩნდათ, რომ კარგ ძილს ხელს უწყობს სიგრილე საძინებელში, და რაც უფრო სუფთაა იგი, მით უკეთესი. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ მოწყობილმა სამედიცინო გამოკვლევებმა ეს აზრი არ დაადასტურა. ტემპერატურა საძინებელში უნდა იყოს ცელსიუსით 20 გრადუსის ფარგლებში. სიმშრალე სათავსოში ხელს უწყობს ზედა სასუნთქი გზების ნერწყვოვანი გარსის გამოშრობას, ამას კი, თავის მხრივ, მიკროორგანიზმების უფრო მსუბუქ შემოჭრასთან და დაავადების წარმოქმნასთან მივყავართ. სინესტე რომ დავუმატოთ, წყლით სავსე ქოთანი დადეთ გასათბობი რადიატორის გვერდით.

შეიძლება უარი ვთქვათ პიჟამოზე, პერანგებსა და ღამის სხვა ტანსაცმელზე. სხეული უკეთესად ისვენებს, თუ მას არაფერი ავიწროებს. თუ მაინც არ გიყვართ ძილი შიშველად – ძილისთვის შეარჩიეთ ნატურალური ქსოვილისგან დამზადებული ტანსაცმელი.

# ზურგი გტკივათ? – სასწრაფოდ ექიმთან!

**მწვავე ტკივილი ზურგში განუცდია ყველა ადამიანს თუნდაც ერთხელ მაინც ცხოვრებაში. 25 პროცენტისთვის იგი შემდეგ ქრონიკული ხდება.**

2003 წელს მოეწყო მასშტაბური გამოკვლევა. გამოიკითხა 46 ათასზე მეტი კაცი ევროპის 16 ქვეყნიდან. მათგან 32 პროცენტი უჩიოდა ტკივილებს ზურგში – ეს ყველაზე დიდი საჩივარი იყო. შედარებისთვის, თავის ტკივილს უჩიოდა მხოლოდ 15 პროცენტი, ტკივილს ხელის მტევანში – 6 პროცენტი.

ტკივილი ზურგში – შრომისუუნარობის ყველაზე ხშირი მიზეზია 45 წელზე ახალგაზრდა ადამიანებს შორის როგორც ევროპაში, ისე საქართველოშიც.

**ადამიანთა 60-100 პროცენტს, ვისაც ზურგში ქრონიკული ტკივილი აწუხებს, აღენიშნება დეპრესიის ნიშნები.**

ზურგში ტკივილის ყველაზე ხშირი მიზეზი ხერხემალთან დაკავშირებული პრობლემებია. ესაა ოსტეოქონდროზი–მალათაშორისი დისკების დანგრევა, და სპონდილოართროზი– ხერხემლის სახსრების გაცვეთა.

ხერხემლის მალათაშორისი დისკები და სახსრების ხრტილები ხრტილოვანი ქსოვილისგან შედგება. ამიტომ ზურგში ტკივილის მკურნალობა ჩვეულებრივად მოიცავს ქონდროპროტექტორებს–პრეპარატებს, რომლებიც იცავენ ხრტილებს დანგრევისგან.

**მალათაშორისი დისკები ყველაზე ნაკლებ დატვირთვას განიცდიან, როდესაც ზურგზე ვწევართ. როდესაც ფეხზე ვდგავართ, იგი 4-ჯერ მეტია, როდესაც ვზივართ, მოკუნტულები – 8-ჯერ მეტად.**

ჯანმრთელი ხერხემლის დროსაც კი არაა რეკომენდებული ადგილიდან ადგილზე ტვირთის გადატანა, რომლის წონაც 15 კილოგრამზე მეტია.

სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს, თუ ტკივილს ზურგში თან ახლავს ხელების დაბუჟება, ფეხებში, მკერდზე ზეწოლის შეგრძნება –ასეთი სიმპტომები შეიძლება მიუთითებდეს სიცოცხლისთვის სახიფათო მდგომარეობაზე.

**ფიზიკური ვარჯიშების ყველა სახეობიდან ხერხემლისთვის ყველაზე მავნებელია ძალოსნობა, ხოლო ყველაზე სასარგებლო – თხილამურებით სირბილი და ცურვა.**

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

## ვაკეთინოთ ვარსებულებთან

### „ოცნებამ თუ ასე გააგრძელა, სააკაშვილი ხელისუფლებაში დაბრუნდება“

„თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივანი ალეკო შალამბერიძე მეოცნებეებს სამართლიანობის აღდგენის გაჭიანურების გამო საყვედურობს. მისი აზრით, თუ უახლოეს მომავალში სამართლიანობა არ აღდგა, ხალხი შეეცდება ამის გაკეთებას, ხალხის მღელვარებით სააკაშვილი ისარგებლებს და ხელისუფლებაში დაბრუნდება.

– ვინმეს სჯერა საქართველოში, რომ 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდებოდა? მეოცნეებეები ისეთ განცხადებებს აკეთებენ, მეეჭვება, ამის დასრულებას საერთოდ თუ აპირებენ. ამით ისინი იმაზე დიდ ბოროტებას ჩაიდენენ, ვიდრე ნაციონალებმა ჩაიდინეს, – ამბობს შალამბერიძე.

**„ახალი თაობა“**

### რა ინტრიგების გამო გადადგა არჩილ კბილაშვილი?

**როგორც ჯონდი ბაღათურია ამბობს, კბილაშვილს ბოჭავდნენ და არ აძლევდნენ საშუალებას, რომ უფრო თამამად ემოქმედა. ამ შემთხვევაში ასევე იყო პოლიტიკური ინტრიგები. მას რომ ისეთივე ზურგი ჰქონოდა, როგორც ირაკლი ღარიბაშვილს ჰქონდა, ალბათ უფრო მეტს გააკეთებდა სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით. მოდი, ვაღიაროთ, ღარიბაშვილს პიროვნულადაც აღმოაჩნდა მეტი ფხა... არ მინდა, კბილაშვილის მიმართ უპატივცემლობა გამოვხატო, მაგრამ ირაკლი უფრო გაბედული ტიპი აღმოჩნდა. ჩემი აზრით პრემიერ-მინისტრის შეცდომა იყო ის, რომ კბილაშვილს არ მისცა კარტბლანში და მუდმივად აწუხებდა.**

**„ალია“**

### სოხუმი გალში მოსახლეობის აღწერის ჩასატარებლად ემზადება

**აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ახალი წლის შემდეგ გალში მოსახლეობის ხელახალი აღწერის ჩატარებას გეგმავს, რის შემდეგაც სოხუმის მთავრობა უკვე ახალი პასპორტების გაცემას დაიწყებს. მანამდე გალელ ქართველებს ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა ისევ ძველი წითელი საბჭოთა და ახალი მწვანე აფხაზური პასპორტით შეეძლებათ. ამ დროისთვის კი პასპორტით „საზღვრის“ გადაკვეთას დევნილებს არავინ უკრძალავს, მეტიც, როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ხშირ შემთხვევაში შემოვლით გზაზე გადასვლას აფხაზების დახმარებით ახერხებენ.**

**„რეზონანსი“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ინცხალი ანეკდოტები

**– რით განსხვავდება მარტოხელა მამაკაცი ცოლიანისგან?**

**– მარტოხელა სახლში ყველა საქმეს თავის ნებით აკეთებს, ცოლიანს კი მეუღლე აიძულებს.**

* * *

**– რა ზღაპრებს გიკითხავდნენ მშობლები ძილის წინ?**

**– რას და, დაამთავრებ ინსტიტუტს და მერე ბევრ ფულს იშოვიო.**

**– შენი სიდედრი რა დარგის სპეციალისტია?**

**– სამედიცინოსი.**

**– თერაპევტია?**

**– არა, წურბელაა. სისხლსა წოვს.**

* * *

**ზის ტიპი ბარში. ლუდს სვამს. უცებ მისი ცოლი შემოდის და სახლში წამოდიო, ეუბნება. ტიპი ნაწყენია:**

**– ეს უკვე შეურაცხმყოფელია ჩემთვის! რატომ არის, რომ მუდამ აქ მეძებ ხოლმე? რატომ არ მიდიხარ ჩემს საძებრად თეატრში ან მუზეუმში?**

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24